

ნაგაფუნი

თბილისის
კაზანის

საეკლესიო
ვერსია



სამართალს სანამაგნიძე
თბილისი
ს. შარუ გი. ლი

1915




თბილისი № 11.

მოზრდილთათვის

თბილისის
კაზანის
1879

თბილისის
კაზანის
1879



ზუგის კომსენება თავის სხვიდან.



შინაარსი

I—აკაკის გამოსვენებათავის დახლიდან, სურათი	1
II—დიდი მგოსნის გარდაცვალება, — დ. კასრადისა	4
III—აკაკის ხსოვნას, — ლექსი ი. სიხარუდიძისა	16
IV—ღმერთები გვეწყალობენ, — (მოთხრობა ძველ ელდინხა ცხოვრებიდან.) — დ. კილოსანიძისა	18
V—ზამთრის მოლოდინში, — ლექსი მიმქრადისა	35
VI—სიბარულო, — ზღაპარი, (დასასრული) ტაგო ნაოძისა	36
VII—ზამთარია, — ლექსი, დ. ულიაშვილისა	42
VIII—წიფელა და მუხა, — მოთხრობა ჟვალისა, თარგმანი აპო- ლონ ჟაბუტისა	43
IX—საქართველოს შესანიშნავი ადგილები, — ი. ანთაძისა	52
X—ბრძოლა აღმზიანისა ბუნებასთან, — ი. როსტომაშვილისა	59
XI—გასართობი: ანდაზა, გამოცანები, შარადები და რე- ბუსი	63

296



|- დიდი გოგონის გადასვალა

„შემან მეტი რაღა გეგოს:
აქა—ბნელი გაგიტენე!

შოთა რუსთაველი



ქვენ იცით, მკითხველებო, ვინ არის აკაკი
ოპ, როგორ არ იცით! უმჯობესია ბევრს
თქვენგანს უნახავს; ზოგს კი შეიძლება თვი-
ლით არ ენახოს, მაგრამ ის კი შეუძლებე-

ლია, რომ მისი სახელი არ გაეგონოს!

ან რა დასაჯერებელია! აღამიანი, რომლის ხმაც თვით
ზეცას შესწვდა, რომლის ლექსებს შინ თუ გარედ მღერიან,



დიდისა და პატარისთვის უჩინარი არ იქმნებოდა, და განსაკუთრებით „ნაკადულის“ მკითხველთათვის, რომელთაც არაერთხელ ექნებოდათ ბედნიერება აკაკის ლექსით დამტკბარიყვნენ.

მაგრამ ეს არ კმარა, რომ ამით დავემაყოფილდეთ და ვთქვათ—აკაკის სრულად ვიცნობთო! საკითხია, რატომ შეიძრა მთელი საქართველო მის გადაცვალების ვაგონებაზე? რატომ მოიყარა მთელმა ქვეყანამ პატივის ცემით მუხლი მის ცხედრის წინაშე? რატომ? იმიტომ, ჩემო კეთილნო, რომ აკაკი დიდი მგოსანი, დიდი ქურუმი იყო, რომელიც ჩვენც გვეკუთვნოდა და სხვებსაც, მიწასაც და ცასაც!

ოჰ, რომ იცოდეთ,—რა ძნელია ასეთ ადამიანების გამოჩენა! ხშირად მათ გამოჩენას მთელ საუკუნოებით ელოდებიან! ერი, ვისაც არა ჰყავს აზრთა და ზრახვათა, ისტორიის გამომხატველი, ვერაფერი ერია, სახსენებელადაც არ ღირს! კურთხეული საქართველო იმითაა ბედნიერი, რომ წარმოშობა ისეთი სულმნათი პიროვნებანი, როგორც იყო დიდი შოთა, გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი...

მაგრამ ამ ემად ამ დიად სურათთა გაშუქებაზე კი არა, არამედ მსურს თქვენი ყურადღება აკაკიზე შევაჩერო და გაცნოთ მისი ცხოვრება და ღვაწლი.

აკაკის ცხოვრება ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხოვრებისაგან არაფრით განსხვავდება: ისეთივე იყო, როგორც თქვენი. არა გჯერათ? აბა, გაისარჯეთ და თვალი გადაავლეთ მის „თავგადასავალს“, თუ შიგ ბევრი ისეთი რამ არ ამოიკითხოთ, რაც თვითონ თქვენ გადაგხედიათ. ყოველგან ნაცნობი სურათები, ნაცნობი ამბები... იცინით... ქუკუქუკებთ... გგონიათ, თითქო აკაკიმ თქვენი საკუთარი თავგადასავალი დასწერა და თავისად გამოაცხადა. მაგრამ შევჩერდეთ მცირე ხანს და უფრო დაახლოვებით გავეცნოთ.

აკაკის სამშობლო იყო **სახხერე**. ეს პატარა დაბა იმერეთშია, შორაპნის მაზრაში. ბუნება მეტად ლალია. ლამაზი, კეკ-



ლუცი მდებარეობა. ვიქმაყი მდინარე ჩიხურა მოქუცს და მოჩხრიკალებს. იქ აკაკი თავის ამხანაგებთან ერთად ბანობდა ხოლმე. ამ მდინარის ნაპირას აგებული იყო ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი, სადაც ჩვენი მგოსანი აკაკი დაიბადა 1840 წ. არც თუ აღზრდა მისი იყო საგანგებო. იმ დროის ჩვეულების თანახმად, მშობლებმა აკაკი, ანუ პატარა კაკო, როგორც მას პატარაობისას ეძახდნენ, გაგზავნეს სოფელ სავანეში აღსაზრდელად. კაკო აქ იზრდება გლეხის ბიჭებთან ერთად, მინდვრად; შინ თუ გარედ, სულ მათთან ერთად დადის, თამაშობს, მუშაობს, ანცობს, ბუნებას ფეხშიშველი ლახავს! ყველას შეუყვარდება კაკო, ყველა მოხიბლულია მისი სიკვპიტით, ენა-მახვილობით! გლეხის ოჯახში ცხოვრობს და ამხანაგებთან ყოფნას იმდენად შეეჩვია, რომ მის სანახავად მოსულ მშობლებს და ნათესავებს უფრთხოდა, საჩუქრებს ამტვრევდა, ახლის არიკარებდა და უჭუდოდ, ფეხშიშველა ველ-მინდორზე გარბოდა, სადაც ტრლები ეგულებოდა.



აკაკის მამა.

მისი დაუდგრომლობა, სიკოცხლე, მოუსვენრობა თუღწინ გვიხატავს კოცხალ ბავშვს, რომელიც მუდამ ჰოდრაობს, ფეხ-მოუკიდებელია, დიდხანს ვერ ჩერდება ერთს აფილს—ყოველთვის ცდილობს ახალი რამ მონახოს, ახალ კნქუღში



შეიხედოს. ყოველისფერი გადმოაქოთოს. თან შეხედოთ თან ერთად კაკო ბურთაობს, კოქაობს, თამაშობს. მაგრამ აი, ახალი რამეს მოგონება ჰსურს. ესეც მზად არის: „ბაბუას წვევრები გაეჩქოთო!“ უთხრა ამხანაგს, და ხელად ახალი თამაშობა გამოანახა. რა იყო ეს თამაშობა. აი, ესეც: კაკო და მისი ძიძის შვილი ერთად სხედან. შინ ჯდომა და ყოველი თამაშობა მოეწყინათ. რა ქნან? გაახსენდათ, რომ ძიძამ აუკრძალა, საჩჩელს არ მიეკაროთ, ცოდვა არისო. მაგრამ აკრძალული ხილი, როგორც გეჭნებათ გამოცდილი, მუდამ გემრიელია. საცდელად საჩჩს მისცვივდნენ, აიღეს მატყელი, თან ჩამოჰკრავენ ქულას და თან იძახიან: „ბაბუას წვევრები ასე გაეჩქოსო“. ვინ იყო ეს ბაბუა, არც ერთმა იცოდა, არც მეორემ; მაგრამ თამაშობა სიამოვნებას ჰგვრიდა, მიუხედავად იმისა, რომ საჩჩელზე თითები დაიკაწრეს; „ბაბუას წვევრს“-კი ქარს ატანდენ.

მაგრამ დაჰკრა საათმა, და კაკოს ბედნიერებასაც მოელო ბოლო: ექვსი წლის ბავშვი მიჰყავთ შინ. მშვიდობით ტოლებო, მშვიდობით სახლო და კარო! წარმოუდგენელი მწუხარება იგრძნო, მარტო ამბის გაგონებამ ისე დაალონა, იმდენი იტირა, ვიდრე ძიძის კალთაში არ ჩაეძინა!

ასე ძნელია იმ კარ-მიდამოს დატოვება, სადაც სიყრმეს ატარებს ადამიანი, სადაც იზრდება, თვითცნობიერდება...

შინ დაბრუნებისას აკაკის ცხოვრების ახალი ხანა იწყება. ეს უკვე სულ სხვაგვარია, ვიდრე სავანეში ცხოვრება. პირველი მოვლენა, რაც აქ შენიშნა მან, იყო უსიცოცხლობა. ხედავს აუარებელ მსახურთ, არ იცის—რატომ: ყველანი განსაკუთრებულ დროს თუ გინძრევიან, თორემ სხვაფრივ გულხელ-დაკრეფილნი სხედან. მაშა როსტომი, როგორც ძველებური თავადი შვილი, ძილის მეტს არას აკეთებდა.

ბავშვი დანადვლიანდა. სიცოცხლის უნარი დაეკარგა. შინ ჯდომამ სევდით ააფხო მისი თვალები. უნდა ნახოთ, როგორ თავ-გამოდებით სურს გაინავარდოს, ბუნების კალ-



თაში გაიკუნტრუშოს. მაგრამ სად წაუვა კედლებს, თხელ კარ-ჩაკეტილობის დროს სვედამ მოიცვა, მოიწყინა. უეცრივ მოესმის გუგულის ხმა: „გუგუ!“ ბავშს ავიწყდება მარტობა. წამოიფრთხილებს. შეხედავს, მართლაც კედლიდან გუგული გამოჰყოფს თავს და შტიმალემა. მას საათის ბუდის ხელოვნური გუგული ცოცხალი ჰგონია. სკამს იდგამს. ქული უნდა დაათაროს, რაც მარცხით თავდება. ამ ამბავზე ყველა იცინის, ბავში კი სასოწარკვეთილებას ეძლევა. მას ბუნება სურს, გარედ ყოფნა, ტოლები, მათთან სირბილი, თევზაობა, თამაში... კიდევ კარგი, რომ მისი დედა ქვეიანი და ფრიად გონიერი აღამიანი იყო, თორემ ვინ იცის,—პატარა აკაკის ბედი სულ სხვა გზით წასულიყო. დედამ მალე შეამჩნია შვილს დანადვლიანება. აღლო აულო მის იდუმალ წუხილს! ადგა, და აქაც მოუნახა ტოლები, პატარა ბატონი გაიყვანა სოფლის ბიჭებში, კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნა სიცოცხლის ყვაფილი! ამანაც დატყვევებულ მიმინოს სიცოცხლე იგრძნო. ხელახლად გაშალა ფრთები, იგივე სიმაღლაზე, იგივე თამაშობა, ზღაპრები და ზედმეტად წერა-კითხვა და ლოცვების გაზეპირება.



აკაკის დედა.

სულ მოკლე ხანში დაანახვა მშობლებს აკაკიმ, რომ მისი სოფლად გაყვანა უნაყოფო არ იყო, რომ დაკვირვება გაე-



ფურჩქნა და მაშინვე აღნიშნა, თუ მისი მომავალი რითი მოიხაზებოდა. აი, სხვათა შორის ამგვარი დაკვირვების ნიმუში: აკაკის მამა ახირებული ადამიანი იყო. ერთხელ თავისი მოხუცი გლეხ-კაცი ძალად შინიდან უნდა გამოეგდო. აკაკის გული შესტკივდა, რომ ასე უჯიათობას აყენებდნენ საბრალო გლეხს. ველარ მოითმინა, მამასთან მიიბრინა და ეკითხება:

— მამა, ბატონო, ჩვენი მურა რომ დაბერდეს, აღარაფერი არ შეეძლოს, აღარც ყეფა და აღარც ღრენა, მაშინ რა უყოთ?

— რაში გეკითხება შეილო? თუ მაგრეა, — უპასუხებს მამა, — მკადს აკმევენ და იქმნება თავისთვის, ვიდრე არ მოკვდებო.

— მაშ თუ მაგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძალზე: ბერი კაცს რომ თავის სახლ-კარს აშორებ და გამოგყავს, ის კი არ გეცოდება?

ამ შენიშვნამ ისე იმოქმედა მამაზე, რომ გლეხს აპატიო ყოველისფერი და არა აენო-რა.

რვა წლის აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში მიიბარეს.

აქედან იწყება ახალი ცხოვრება, ფრიად საინტერესო. ჯერ იყო, და აკაკი უწლოვანოდ ჩასთვალეს. მას ყურადღებას არ აქცევდნენ მასწავლებლები. მაგრამ ბავშვი მეტად ყურმახვილი იყო, დაკვირვებული. რასაც სხვებს უხსნიდნენ, იმას ისიც სწავლობდა, ხელად ითვისებდა. გამოცდაზე აკაკიმ ყველანი განაცვიფრა, როდესაც, ყველაზე, უკეთ მისცა პასუხი. საქმე ის იყო, რომ ჯერ მისი გამოცდა სულაც არ უნდოდათ. მაგრამ აი, ერთ ამხანაგის პასუხზე, რომ აქლემი ცხოველია და გაფრინდებო, აკაკიმ გულიანად გადიხარხარა. მასწავლებელი მოუბრუნდა და შემდეგი საუბარი გაიმართა:

— რად იცინოდნი?

— აქლემი გაფრინდებო, რომ მოგახსენეს, ეტყობათ — აქლემი არ უნახავთ.

— შენ? შენ სად გინახავს?

— შარშან თათრებმა ჩაატარეს მოედანში; ძლივს მიიფხოვრებოდნენ.

— მერე, რა იცი, რომ ვერ გაფრინდება?

— ფრთები არა აქვს.

— რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად—კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა.

— არ გაგიგონია—ძველად რომ ვინმე გაფრენილიყო?

— ძველად ენოქი და ელია, მაგრამ ისინი ურმით გაფრინდნენ, ღვთის ძალით.

— ვინ გითხრა ეგა?

— დედამ.

ამ ამბავმა გააოცა მასწავლებელი. შემდეგ ლოცვები ჰკითხა. გამოჩნდა, რომ ესეც ჩინებულად იცის აკაკიმ. აკაკის სიტყვა-პასუხი ისე მოეწონა გამომცდელს, რომ პირველობა დაუთმეს.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ აკაკი გიმნაზიაში ბედნიერი იყო. არა, იმ დროინდელი, მასწავლებელი უფრო სასჯელი იყო, ვიდრე გონების გამფურჩქნელი ტადარი. ბავშვებს სასტიკად ეპყრობოდნენ, სცემდნენ, თავისუფლებას უკვეცავდნენ. საშინელება რამ იყო! მარტო საკმარისია გავიხსენოთ იმ დროინდელი „როზგი“, რომ დღევანდელი თქვენი გიმნაზია სამოთხედ დაისახოს და იმ დროინდელი კი—ჯოჯოხეთად. ახლა ამას დაუმატეთ სამშობლო ენის აბუჩად აგდება! მართალია, არც დღევანდელ გიმნაზიაშია პატრივცემული ჩვენი სამშობლო ენა, მაგრამ ის დრო მაინც სულ სხვა იყო. ერთხელ აკაკის თვით ქართული სახარებაც კი დაუფხრიწეს, შეურაცხვეს და სასტიკად აუკრძალეს—ამიერიდან „ძალღუერ ენაზე“ დაწერილი რამ არ მოიტანო!

საზოგადოდ აკაკი 16 წლამდის სულის ტანჯვას განიცდიდა. ბევრი რამ შეიძლებოდა მოგვეყვანა, მაგრამ ესეც კმარა.

გიმნაზიის გათავების შემდეგ აკაკი მიემგზავრება პეტროგრადში უმაღლეს სწავლის მისაღებად. მამისა და ნათესავე-



ბის ჩაგონებით მას სურდა სამხედრო სისწავლებელში შესვლა, მაგრამ რუსეთში წასვლისას აზრი გამოიცვალა და, ჩვენდა საბედნიეროდ, შევიდა აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე. აქ შეისწავლა სამშობლო ისტორია, შემდეგ გაეცნო რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, მის აზროვნებას, ენობა რუსის მწერლობას, განსაკუთრებით პუშკინისა და ლერმონტოვის ნაწერებს. პირველი მისი ლექსი—თარგმანია, ლერმონტოვის „პალესტინის შტო“, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. ის იყო და ის. აკაკიმ ალლო აუღო თავის მოწოდებას და მგოსნობას მიჰყო ხელი.

სამშობლოში დაბრუნებისას აკაკი მხარში ამოუდგება იმ დროს ჩვენ ცხოვრების ასპარეზზე გამოსულ ილიას, ნიკოლაძეს, მესხს, მაჩაბელს ყველა ესენი ჩვენი ისტორიის ახალი მნათობნი არიან, რომელთაც შესძლეს საქართველოსთვის ახალი ცხოვრების გზის აღმოჩენა. ჩვენი სამშობლო მათ ჩამოსვლამდე არეულ-დარეული იყო: ერთმანეთისა არა ესმოდათ. მასთან ბატონყმობის მძიმე უღელი სტანჯავდა ჩვენს გლეხ-კაცობას. აი, ამათ აიმაღლეს ხმა, ესენი შეეცადნენ დიად საქმეს, საერთო წადილში საქართველოს გაერთიანებას. ამ ერთობის შექმნაში აკაკის მიუძღვის დიდი ღვაწლი. განა არ გაგიგონიათ, ან არ გისწავლიათ „ნათელას სიმღერა“? აბა, დაუკვირდით: აკაკიმ მთელი საქართველო ჩონგურს შეადარა. თუ მისი სიმეზი აწყობილი და შეხმატკბილებული არ არის, იცოდეთ, ვერაფერ სიმღერას ვაიგონებთო. ჩანგური კი—

„..... საქარველოა,
სიმეზი ჩვენ ვართ ყველაო,—
სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრებნი,
ოდელა-დელა-დელაო“!

და აი, აკაკიც ნათელას სახით სწუხს, რომ დაქიაქსულ ქართველებს ვერ შეუგნიათ გაერთიანების დიადი მადლი. იგი ზედავს, რომ ბუნებაში ყველგან თანხმობაა, სიყვარული,



ერთობა; მწერიც კი რა არის — ისიც კი ეშველება ერთი მგოსნის... უყვარს.

„და ჩვენ რად ვმღერით ცალცალკე, ოდელა-დელა-დელაო?“

გვეკითხება მგოსანი. პართლაც, ამ მაღლიანმა მხილებამ, ამ მამობრივმა დარიგებამ გონზე მოიყვანა ქართველობა. იგრძნეს, რომ მათ შორის არაა განსხვავება, რომ საჭიროა ერთობა...

მაგრამ არა კმარა ეს გაერთიანება: საჭიროა, რომ მოისპოს ცხოვრებაში უპირატესობა, წოდებათა მიხედვით ადამიანის ღირსების დაფასება. აკაკი გვასწავლის, რომ საჭიროა ადამიანში ვიცნოთ ადამიანი. გლეხი სამარცხვინო ქმნილება კი არ არის, არამედ ქვეყნის მრჩენელი. და აი, აკაკი მთელი რიგი ლექსებით მხატვრულად აგვიწერს გლეხის გაქირვებულ ცხოვრებას. გლეხის ღიღინში პოეტი გამოსთქვამს, რომ ეს მუშაკი არ არის შეუღნებელი ადამიანი. იცის, რომ იგი „უბედურია“, იცის, რომ „მარტო თავისთვის არ მუშაობს“, რომ „სხვისი სამსახურიც ჰმართებს“, „ქვეყანას აცხოვრებს“, მაგრამ მაინც იტანჯება, გასრესილია, მისი ცოლშვილი სტირის, შიმშილს განიცდის, დედას „ძუძუ უშრება“, მაგრამ მისი ყურის-მგდებელი ერთად ერთი არე-მარეა...



აკაკი და მისი მეუღლე.



ასეთი მწვავე სიტყვებით გვიხატავს აკაკი
 უმაღლრობას, გაკირვებას. მაგრამ ყველაზე მეტად მისი ყუ-
 რადღება სამშობლოზეა მიქცეული. ხედავს, რომ ის „სნეუ-
 ლია“, „სძინავს“... ბევრს ჰგონია, რომ ავადმყოფი „მოკვდა“,
 მაგრამ მგოსანი გვარწმუნებს, რომ ვცდებით, ავადმყოფს მხო-
 ლოდ დროებით დაუხუქავს თვალი, რომ—

„ჯერ კიდევ არ გამქრალა
 მომავალი ბედის წერა!“

ამ ავადმყოფ სამშობლოს სხვა-და-სხვა სახით აგვიწერს,
 გვაჩვენებს წარსულში მის დიად სახეს, კეკლუც სანახაობით
 გვაჯადოებს და გვაწყურებს სიცოცხლეს, განახლებას. აი,
 დიდებული სიზმრის სანახაობა: ქვეყნად ჩვენი მნათობნი—ნინო,
 ქეთევან და თამარ,—ჩამოსულან. გვირგვინოსანნი გაბრწყინ-
 ნებულ სახით იჩოქებენ და საქართველოსთვის აღავლენენ
 ლოცვას, იმ ლოცვას, რომლის შესწავლა ისევე სავალდებუ-
 ლოა, როგორც მორწმუნეთათვის „წმინდაო ღმერთო“-ს. აი,
 ამ ლოცვის ნიმუშიც:

„დედაო ღვთისავე! შენი ხვედრია
 ეს საქართველო დიდ კირ-ნახული,
 შეუზღვევ ცოდვა, ნუ ააღებ ხელს,
 ღმობიერებით იბრუნე გული!“

მიეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
 და გადმოსახე ძლიერი ჯვარი,
 რომ აღადგინო ქართველი ერი,
 დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!“ და სხვა.

ასე ლოცულობს ჩვენი მგოსანი საქართველოს. მისი ფიქრი,
 მისი გონება მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ
 საქართველოსკენ იყო მიქცეული. ზღაპრებით, იგავებით მის
 ბედს გამოხატავდა, ამირანის სახით. მართალია—„ყვავ-ყორა-



აკაკი თავის ცოლშვილთან.



ნი“ ეხვევა კლდეზე მიჯაჭულ გმირ ამირანს, მართალია ველები გულს უკორტნიან, მაგრამ სიამაყეს და სიცოცხლის წყურვილს, ხსნის იმედს ვერავენ წარუხოცს, მისი „გული ისევ მთლიანდება“...

ამ იმედით შეჰხარის აკაკი სამშობლოს გაფურჩქენას, ამ იმედით შესტრფის მომავალ თავისუფალ ახალგაზდა საქართველოს! ამიტომ მას სჭირია საღი თაობა, ჯანსაღი ახალგაზდობა. მას სძულს, ღამურებად მიაჩნია ის პირნი, ვინც დაივიწყა დედა-ენა, ვინც უარჰყო თავისი ტომი, ჩამომავლობა. ხომ გახსოვთ ეს ზღაპარი? თუ არა, მოგაგონებთ. აკაკი მოგვითხრობს, თუ თავგმა როგორ მოინდომა ფრენა. აგერ ნატვრა აუსრულდა და ფრთები გამოესხა. მაგრამ, გაერია ფრინველებში თუ არა, მაშინვე ყიჟინა დასცეს: როგორ, ეს ვინ ჩამოგვრევიანო? ნისკარტ-ბრჭყალებით მიიტანეს იერიში. საბრალო ღამურამ იკადრა უკან მოკურცხვლა, მაგრამ თავისიანებიც აუჯანყდნენ, აღარ მიიღეს, და ასე გაუმედღურებული—იძულებული გახდა ბნელეთში ფეხარტაშა. ამ მწარე ბედმა ნაგვიანვეად ჰკუა ასწავლა ღამურას, და აი რა ანდერძს სტოვებს იგი:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ქირი მოუვა კარზედა!“

მაგრამ არა კმარა „თვის ტომის არ დამწუნება,“—საქირია შეგნება.

აკაკისგან შეუმწნეველი არ დარჩა ერთი სამწუნხარო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში: ეს გახლავთ ცრუ მამულიშვილობა, ანუ ცრუ პატრიოტიზმი. ზოგსა ჰგონია, სამშობლოს დიდ სამსახურს ვუწევ, თუ ვიძახი:—„ქართველი ვარ“, ანუ ვკამ და ვსვამ „ქართველურად“, „მრავალ ემიგრსა“ ვმღერით, და ამ სმა-ჰამისა და ქეიფისთვის ნელ-ნელა მამულს ჰყიდის, აღარაფერს არ იტოვებს შინ. ასეთი მამულიშვილობა, ანუ პა-



ტრიოტობა თვით მოსისხლე მტერზე უარესია! აკაკი მცხეთელი
 მიწასთან ასწორებს ამგვარ პატრიოტებს. ჩვენ გვჭირია სულ
 სხვაგვარი მამულიშვილები: ისინი არიან, ვინც თავის თავს
 პატივსა სცემს, ვისაც შეუგნიათ მნიშვნელობა თავიანთი
 მამულისა, სამშობლოს სამსახური, მოვალეობა, კაცობრიუ-
 ლი, მოპყრობა. ანუ ადამიანობა, ნუ ვჩაგრავთ ერთუროს,
 გვიყვარდეს, შევიყვაროთ სამშობლო, ვისწავლოთ წინაპართა
 ღვაწლის დაფასება, პატივისცემით მოვებყრათ მათ ნაღვაწს,
 შევფარგლოთ, გავფურჩქნოთ მათი ნაამაგდარი. და აი, მაშინ
 დადგება სანეტარო „გაზაფხული“, მაშინ შეიძლება ითქვას:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
 ქიკიკითა გადმომძახა:
 გაზაფხული... გაზაფხული“-ო...

აი, უმთავრესი მისი ნაანდერძევი დარიგებანი: აი, რას
 ჩაგვჩურჩულებდა აკაკი, რას გვესწავლიდა, საითკენ გვიწვევდა!
 მერე რა ლამაზი, რა კრიალა ლექსებით გვესაუბრებოდა!
 გეგონებათ, ნაკადული მოჩუბჩუბებს, წყარო და მინდვრის
 ყვავილები ზღაპრებით ართობენ საყვარელ მგოსანსო.

სწორედ ამიტომ იყო, რომ აკაკის ქართველმა ხალხმა
 მეფური ხეიმი გადაუხადა 1908 წელს, 50 წლის მოღვაწეო-
 ბის საღღესასწაულოდ; ხოლო ამ წელს თებერვლის 8-ში
 დიდებული დაკრძალვა აღირსა და დიდის ამბით მიიბარა მთა-
 წმიდის უბეში, რომელსაც მრავალჯერ უძღვნა ჩვენმა მგო-
 სანმა მშვენიერი პანგები, როგორც ჩვენი დიდების უძველეს
 სიონს.

შევიყვაროთ ჩვენც, მკითხველებო, ის, რაც უყვარდა ჩვენს
 დიდებს—დიდ აკაკის: სამშობლო, ადამიანი, სამართლია-
 ნობა!..

დ. კასრაძე.





ავაკის ხსოვნას

კ

იღვე ერთი გამოაკლდა
ერის ჩანგის გრძელულ სიმებს,
და აკოორდი ხმებ-შემკრთალი
მწარედ კვენესის, ცრემლს აწვიმებს.

გაწყდა სიმი ბრძოლის ჩანგზე,
ხმა-ტკბილი და მგრძნობიერი;
ცრემლებით რწყავს სამშობლოს მკერდს
მწუხარების მგრძნობი ერი;

გაწყდა სიმი ხალხის წყლულში
 და, ცრემლებში გადამდნარი,
 ჩამოვარდა ძირს ყვაილი,
 მზისა ტრფობით გულ-დამქნარი...

და ეს სიმი, ეს ყვაილი,
 შენ არა ხარ, შენ, მგოსანო,
 ქართველ ერის სიამაყე,
 ჩაგრულ ხალხის გულთმისანო?!

და არ შეგფერს—დაგტიროდეთ
 გმირს, მოსარჩლეს დაკარგულსა?...
 დაგვაოზღო... და მით ყველას
 სევდის დანა დაჰკარ გულსა!..

არ მომკვდარა!—შესმის ირგვლივ,
 —არ მომკვდარა, არ მომკვდარა!..
 —არ მომკვდარა!—ვაშობ... მაგრამ...
 ეს გული რამ დამილარა?!

არ მომკვდარა!.. მაშ, სად არისა ძიგლსა
 სახე ბადრი, თმა-ქალარა!?...
 —ხორცი მოკვდა, და მით სული
 უკვდავებას ეზიარა!..

არ მომკვდარა! დიახ, ეს მწიამს,
 ვერ მივაწერ შე იმას მკდვრებს;
 ის არას ღროს არ მოკვდება,
 ვინც ხალხის გულს დაიმკვიდრებს.

ი. სიხარულიძე.





ღმერთები გვწყალობენ

მოთხოვნა ძველ ელლინთა ცხოვრებიდან.

ღმერთას¹⁾ წყალობა



იდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ოქროს-ქოჩრიანი აპოლონი²⁾ მოველინა ბრწყინვალის ეტლით საბერძნეთის ლაევარდ ცის კამარას; იდიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მხიარული დრიადები³⁾ დაემალნენ სინათლეს მუხებში, ჰაეროვანი ნიმფები⁴⁾ — ნაკადულში, მაგრამ მოხუცი მელანთი უკვე ფეხზეა და აპირებს ზეთის ბილის მოკრეფას თავის ბაღში. სოფელი თევმისი, სადაც ცხოვრობს მელანთი, მდებარეობს ანკარა ილისის ნაპირზე, ათინას სამხრეთით.

დალოცვილი შემოდგომაა. მშვიდი დილის ზღვა, ზურ-მუხტის მინაჭრისებურ არშიად რო შემორტყმია ატტიკას⁵⁾, უგზავნის ილისის ღელეს გრილ ნიავს; მსუბუქი, გამჭვირ-

1) დედა-მინის ღმერთია.

2) ძველ ელლინთა სინათლის ღმერთია.

3) ტყის ნიმფებია, რომელთა არსებობა შეკავშირებულია იმ ხის დღევანდელობასთან, სადაც სცხოვრობენ.

4) მეორე ხარისხის ღმერთებანი მდებარეობითის სტეისა, რომელნიც ბუნების სხვა-და-სხვა ძალას აპირავენებენ.

5) შუაგულ ელლადის თემია.

ვალე ჰაერი კი, რომელსაც ჯერ არ შეჰხებია შუადღის მზის მწვავე სხივები, ნაზად ეალერსება ზეთის ხილის ვერცხლის ფრად მოელვარე ბაღს. აგერ მოისმის ნახირის ბლავილი, რომელსაც უერთდება მწყემსის სალამურის ტკბილი სტვენა. აგერ ჩაიარა მეზობელმა და ჩაატარა კალათებით ხახვი, ათინაში გასასყიდად. გამოიღვიძა მთელმა სოფელმა. წამ-დამ-უწუმ გაისმის მხიარულ შავშვეების სტვენა და ყვავების ჩხავილი; ეხლა ხომ მათი ბედნიერების დღეა: უკვე მწიფდება ზეთის ხილი და ლელვი. აგერ მელანთის პატარა ბიჭუნა პილასიკ გამოსულა ეზოში და ეთამაშება ძაღლს: აჯდება ზურგზე და სწადია გახედნოს, როგორც ცხენი.



აპოლონი.

— დაჰკა, დაჰკა! შენი კი კირიმე—რა ნაყოფია!—ეუბნება გუნებაზე მოსული მელანთი თავის უფროს ბიჭს პოლიდეკოსს; და ესეც არ იშურებს თავის ძარღვიან მკლავებს: ურტყამს და ურტყამს ჯობს დამანჭულ ზეთის ხილის რტოს. მოდის და მოდის სეტყვასავით ზეთის ხილი და უსაზღვრო სიხარულს უღვიძებს მამა-შვილს.

— აი, დაილოცოს დემეტრა: ქეშმარიტად მისი თვალი ტრიალებს შიგა! პოლიდეკოს! მამა-შენს მოაკლონ ღმერთებმა გზა მშვიდობისა და ცივი წყალი, თუ აი ამ ქეციან ფუტურო მოხუცის ნაყოფისაგან მე ოცი გირვანქა ზეთი არ გამოეხადო!—ამ სიტყვებთან ერთად მელანთიმ ჰკრა ჯოხი, თითქოს დაცინვით, აქვე მდგომ ძალად ზეთის ხილს, რომელიც ხუთი

კაცის სიმაღლისა იქნებოდა და, კან-მოკლებული, კულთა-მოკლები
ბრძავს მოგაგონებდა.



ზეთისხილის ზერტყვა.

— მამა! შენ კი ნამდვილად გწყალობს ღმერთა, მაგრამ მე როდღი მწყალობ შენ. რა იქნება, რომ დღეს ათინაში მეც გამოგყვე?! რა წამიზღება?! მე ვიცი—გვარის შეილობა! მოგებმარები კიდევ ვაჭრობაში, მეც გავახელ თვალს აგორაზე!), გავიგებ ახალ ამბავს ტ ვაჭრობაშიაც გავიწვრთნები—მგონია, უკვე დროა ჩეიდმეტი წლის ახალგაზდამ თავისუფალ თვითმოქმედების უნარი გამოიჩინოს. კვლავ ნუ მომაკლდება ათინას წყალობა, ვერ დავიკვებებ ვერც ნამეტან ჭკუას, ვერც განვითარებას. ღმერთთა და ადამიანთა მამას—ზევს გეფიცები, არავითარი განსხვავება არ არის ჩემსა და პაწია ჰილასის შორის! იქნება მგონია, რომ, თუ მისებრ არ წამოგაჯდები ჯობს, როგორც ცხენს, და უღარდელად არ დავრბივარ შთილ დღეს ეზოში, მაღლა ვდგევარ იმაზე? აგერ მებუთე ოლიმპიადაში გადავდექი¹⁾, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, თუ რა არის ოლიმპიის დღესასწაულნი.

1) მოედანზე.

2) ერთი ოლიმპიადა შეადგენს ოთხ წელიწადს.

— კარგია, შეილო, შესდექი! აგისრულე სურვილს, თუ ისეთი ძლიერია იგი შენში, რომ აგალაპარაკა გულ-ახლილად და სიმძაფრით. განა საკვირველია, რომ არაფერი იცი და არაფერი გინახავს! ნუ გავიწყდება, ძამიავ, რომ ეგ ყველა გლეხის ხვედრია! იძულებული მთელი თავისი დღე მოანდომოს მიწის დამუშავებას, იგი სრულიად ვერ აღევნებს თვალ-ყურს სახელმწიფო საქმეების ვითარებას; ამიტომაჲ... ეჰ! რალა გავაქიანურო ლაპარაკი: შენც გიგრძენია უკვე ნათლად ყველა ეს! აბა, მაღე, გეთაყვა, მაღე! გავათავოთ ბერტყა, თორემ გვიანაა, და ვერ გავყიდით ზეთის ხილს კარგ ფასში.

ამაზე შესწყდა ლაპარაკი. დატრუხული ნაყოფი მოდიოდა წინანდებურად სეტყვასავეით. პოლიდეგკოსის ძარღვიანი მკლავები რითმიულად იქნევდნენ ჯოხს და უწყალოდ ატიტვლებდნენ ისედაც მკირე-ფოთლებიან ხეებს. როდესაც გაივსო რამდენიმე მოზდილი კალათი, მელანთიმ შეაყენა ბერტყა.

საპურადღებო შემთხვევა.

აღსრულდა. პოლიდეგკოსი ათინაშია, მოედანზე, სადაც აუარებელი ხალხი ტრიალებს. აქ წამოკვიმულან—სათათბირო სახლი, სასამართლოები და იდუმალი ტაძრები; აქვე გაშენებულია პლატანების და ქანდრების მშვენიერი ხეივნები; მათ დასცქერიათ გმირთა ალაღმები. აგორა ნამდვილ სკას მოგაგონებს, რადგან იქ საშინელი ყრიაშული დგას. უსაქმო ხალხი მოსულა მეგობრებთან შესახვედრად, სალაყბოდ, ახალ ამბების შესატყობად: ან თუ რას აკეთებს მთავრობა, ან თუ რა მოლაპარაკება აქვს უცხო სახელმწიფოებთან; მოსულან ამას გარდა, რათა თვალი მოაეღონ ვაჭრობას. მართლაც, რას არა ნახავ აქ?! ხეხილებს შუა შენობების ახლოს ჩამწყკრივებულან ჩალის და წნელის სავაჭრო ხულები.

— თაფლი, თაფლი — ი! — გაიძახის ვაქარი დაჟინებით და ხელის ქნევით ეპატიყება მუშტარს. წინ უწყვია რამდენიმე

თიხის ვიწრო-ყელიანი ამფორა¹⁾ თავლით, რომელიც ჩამოყვ



ვაჭარი.

ტანია ჰიმეტის მთიდან. ხალხი იცნობს ვაჭარს; მასთანაც უკანასკნელი მეტად ხშიანი და ენა-წყლიანია; ამიტომაც შემოჰხვევია და იტაცებს ქარვასავით ყვითელ და ნაპერწყლიან თავლს.

— ნახშირი, კაი ნახშირი—ი!—გაიძახის ნახშირში ამოგანგლული გლეხი.

— ძმარი, ძმარი —ი!—გაიძახის სახის მანკვით მეორე ვაჭარი, თითქოს ამით უნდა შეატყობინოს ხალხს, რა ცხარე ძმარი აქვს გასაყიდი.

ავერ ყვავილების საწყობისაკენ მიემართება მოქალაქე-ჩუმად მისდევს მონა კალათით ხელში. ბატონი ყიდულობს სურნელოვან ყვავილებს და აძლევს მონას სახლში წასაღებად.

— გეთაყვა, მითხარი, ნუ დაიზარებ, ზევსი იყოს შენი მფარველი, როგორ ფასობს ზეთის ხილი?—ეკითხება მოქალაქეს მზეზე დამწვარი სოფლელი კაცი უშნო ტანსაცმელში, და მიუთითებს ნიხრზე, რომელიც ალალმების ძირზეა გაკრული.

— ეი, ყორანო! როგორა ჰყიდი წაბლსა? დამაცალე! თუ ცხვირის ნესტოში ჩაგეტია, წვრილი და უვარგისი ყოფილა შენი წაბლი,—ეუბნება სოფლელ ვაჭარს ნათ-სადგურიდან მოსული თავბედი მეზღვაური და მართლა აპირებს შეიტყოს წაბლის სიდიდე და ღირსება ცხვირის საშუალებით.

— აბა, შენ იცი, სინონ: სცადე, თუ კაცი ხარ, რაიღენად მაგარი აქვს ნესტოები ამ მაიმუნს!—აქეზებს მას ამხანაგთა ბრბო, ისეთივე თავბედი, როგორიც სინონია. სინონი შეასრულებდა თავის ველურ სურვილს, მაგრამ ამ დროს დაიწყო ლაპარაკი შქვერმა, რომელიც მოთავსებულიყო აქვე მაღალ ქვაზე. ამან მიიზიდა ბრიყვ მეზღვაურთა გონება და დაავიწყა წადილი.

¹⁾ მაღალი ყურებიანი ქილა.

— მოქალაქენო! ერთმა პოეტმა სრულის უფლებით სთქვა თავის ლექსში: „კუნძი ყოფილხარ, თუ ათინა არ გინახავს; ვირი—თუ გინახავს, და არ აღტაცებულხარ; აქლემი—თუ სიამოვნებით მიგიტოვებია იგი“...
 — ყმაწვილო! ღორის ხსენება დაგავიწყდა, ღორისა!

— ვინ არის ვე უშვერ სიტყვების მთქმელი პოეტი? იქნება შენა ხარ?

„რისხვა ადიდე, ღმერთავ, პეღეასის ძის აქიღვესის!“...
 მღერის გასაყიდი მონა და საუცხოვოდ უკრავს კითარაზე. მისი ტკბილი ხმა და ხელოვნური მუსიკა იმდენად წარმტაცია, რომ მრავლად თავმოყრილი მუშტრები თავდაღუნულნი სხედან სკამებზე და ფიქრებს გაუტაცნია ისინი იმ ხანებში, როცა თითქმის მთელი ელლადა²⁾ შემორტყმოდა საღვთო ილიონს და გმირულ ღვაწლსა ჰქმნიდა.

— კმარა!—აჩქარებით იძახის მდიდარი ათინელი:—რადირს ვე აპოლონისაგან³⁾ დალოცვილი არსება?

მონის პატრონი, შოლტით ხელში, აქვე ათამაშებს პატარა თმა-ხუჭუქა ბიჭუნას და გულგრილად იძახის:

— ორი ტალანტი⁴⁾.

— აი, ფული!—ეუბნება მყიდველი და ამაყად უცქერის გაშტერებულ ბრბოს: ამოდენა ფულის მიცემა დამკერვლში, თვით აპოლონსაც რომ სჯობდეს იგი, მაინც უგუნურობაა.

— ზეთის ხილი, ზეთის ხილი—ი!—გაიძახის რაც ძალი და ღონე აქვს მელანთიც და მოელის მყიდველს. აქვე გვერდით უდგია პოლიდეკოსი და წამ-და-უწუმ ეკითხება მამის გამვლელ-გამოვლელთა ვინაობას. მყიდველიც არ იგვიანებს. მას მოსდევენ მონები კალათებით. უცნაური არისტოკრატია⁵⁾ მყიდველი: არც კი ევაჭრება მელანთის და იღებს მის

1) პირველი ლექსია ილიადისა.

2) საბერძნეთია.

3) აპოლონი ითვლება ხელოვნებათა მფარველად.

4) დაახლოვებით 4000 მანეთია.

5) წარჩინებულია.



ზეთის ხილს. მთლიანად, ჩუმად უსწორდება და აპერებს წაყვას
 ლას, მაგრამ ამ დროს მოჰკრავს თვალს პოლიდევეკოსს.

— მოხუცო! ვინაა ეს ყმაწვილი?

— ჩემი შვილია, პატივცემულო!

— ხელოსანია?

— არა, ჯერ-ჯერობით მე მეხმარება მუშაობაში!

— მერე არ გენანება, რომ აცდენ მაგისტანა ვაე-კაცს?!
 დიდი გონიერება არაა საჭირო, რომ წინდაწინ იგრძნო რო-
 გორი ბრწყინვალე ბედი მოელის. აბა შეჰხედე მისი მკლავე-
 ბის და ფეხების გაქიმულ კუნთებს, ან მის ფოლადის გულ-
 მკერდს! ნულარ მფარველობს ათინა ჩვენ ქალაქს, თუ თვით
 ოლიმპიაში ვერ შესძლოს ამან გამარჯვება. არ დაგავიწყდეს,
 მოხუცო, ჩემი ნათქვამი! იყავ შშვიდობით!

ისე დაბრუნდნენ მამა-შვილი თევმისსში, რომ ხმა არ ამო-
 ულიათ გზაზე. თუმცა ზეთის ხილი კარგ ფასში გაჰყიდეს და
 მხიარულ გუნებაზე უნდა დამდგარიყვნენ, მაინც გულნაწყენებს
 მოგაგონებდნენ. რამდენად მართალი იყო ის უცნობი კაცი,
 ჰფიქრობდნენ ესენი, როდესაც ლაპარაკობდა პოლიდევეკოსის
 არა. ჩვეულებრივ გულ-მკერდზე და კუნთებზე.

სოფლის სადალაქოში

სალამო ხანი იყო, როდესაც მელანთი და პოლიდევეკოსი
 შევიდნენ სოფლის სადალაქოში. ახლოვდებოდა ის დრო, რო-
 დესაც თბისფება პანი¹⁾ თავისუფლად გამოვიდა ტყის პირად
 სახეტიალოდ სატიროსთა²⁾ და სილენთა³⁾ თანხლებით. მე-
 ლანთის და პოლიდევეკოსის თმა არც გასაკრეკია, არც დასა-

1) ნიშნავს მწყემსს. ჯოგთა მთათა და ველთა ღმერთია.

2) ტყეთა სულნი, რომელთა განსაკუთრებული თვისებაა სიმბინჯე.

3) ბაზუბის თანამგზავრნი, მარად მთვარლნი მხიარულნი და გულ-
 კეთილნი.



ვარცხნი; მაინც მიდიან სადალაქოში: აქ ნახავენ ნაცნობებს, შეიტყობენ ახალ ამბავს. უკვე თავ-მოყრილია დიდძალი ხალხი და უგდებს ყურს დალაქის აბდა-უბდა ყბედობას.

— ოჰ, მელანთი! აბა, ადამინო, რა ამბავი მოგვიტანე ქალაქიდან?

— ის ამბავი, რომ მდიდარ მემამულეებს მიწებს ართმევენ და ურიგებენ გლეხებს!— გაიხუმრა მელანთიმ და გამოიწვია ბრბოს მოსაწონი ხარხარი.

— კაცო! მართალია, რომ ათინაში აღმოჩენილა ისეთი მეცნიერი, რომელიც ვასწავლის, როგორ უნდა შეირჩინო სხვისი ვალი?

— მეზობელო! ქეშმარიტებაა, რომ ათინაში მამა-კაცნი თმებს იხუჭუჭებენ, როგორც ბარბაროსნი სპარსელნი?

— მელანთი, ადამიანო! მართალია, რომ ზეთის ხილის მოჭრა აუკრძალავთ?

— ჰო, მართალია, თუმცა შეგიძლია მოსჭრა; მხოლოდ გადიხდი 200 ღრახმას¹⁾, რომლიდანაც ნახევარი დამბეზღებლისაა,— ჩაურთო, როგორც იყო მელანთიმ პასუხი.

კიდევ ბევრ ამგვარ კითხვებით მიმართავენ მელანთის, მაგრამ ამან ისარგებლა ბრბოს წუთიერ სიჩუმით და უამბო ხალხს პოლიდეკოსის ამბავი, რითაც მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. ასეც უნდა ყოფილიყო: თუ მართლა პოლიდეკოსი გაიმარჯვებდა ოლიმპიაში, ეს ხომ უკვდავ სახელს მოუპოვებდა არა თუ მარტო მას, არამედ მთელ სოფელს. შეფუცხუნდნენ თევზისელები. დაუწყეს პოლიდეკოსს ყურადღებით სინჯვა, ააწევენ ვეებერთელა კუნძი, რომელიც ხელად გამონახეს; აწევენ მსხვილი თოკი, რომლის ბოლოს თითონ მოსჭიდეს ხელი, და ვერ დასძრეს ადგილიდან. მაგრამ

¹⁾ დაახლოებით 70 მან.



განა მარტო ღონე იყო საქმარისი ჭიდაობაში? გამარჯვებისთვის საჭირო იყო



მოკრივე.

ხერხის და ფანდების ცოდნაც, და ყველაზედ უფრო ღმერთების წყალობა. ამიტომაც აქვე გადაწყვეტილ იქმნა, შეეკითხოს მელანთი ადგილობრივ მკითხავენესტორს, თუ როგორის თვალით უყურებენ ღმერთები პოლიდეკოსს, და თუ, ვინიციობაა, სწყალობენ მელანთის ოჯახს, მაშინ უნდა მიაბაროს მან პოლიდეკოსი სკოლაში ჭიდაობის ფანდების შესასწავლად.

ადგილობრივ მკითხავეთან

— დილა მშვიდობისა, მელანთი!— მიესალმა დილა-ადრიაანად მეზობელი, რომელიც უნდა წაპყლოდა მკითხავეთან: ნამეტანი ცნობის მოყვარე იყო, და ეჩქარებოდა შეეტყო პოლიდეკოსის ამბავი.

— მშვიდობა მოგცეს ყოველად ძლიერმა ზევსმა, მეგობარო!

— რა ამბავია შენსა? ხომ არ გამოუბრია თავგს ფქვილის ტომარა! ან ხომ არ დაგნავესა სინდიოფალაშ?



— შეხის მტყორცნელმა ზევსმა მაშორა უბედურება! —
 — თუ ეგრება საქმე, მაშ წაეიდეთ. შეატყობინე პოლი-
 დევეკოსსაც — წამოიყვანოს ცხვარი.

თევზისის მკითხავი ნესტორი ცხოვრობდა სოფლის გა-
 ნაპირას კარგა მოზდილ და სუფთა ქოხში, რომელიც რამ-
 დენიმე ოთახისაგან შესდგებოდა. სახლი მთლად ჩაფლული
 იყო ზეთის ხილებში, რადგანაც თავის თავს ნესტორი ათინას
 მსახურად სთვლიდა¹). აქვე ეზოში ზეთის ხილის ტოტებ ქვეშ
 იყო მოწყობილი სამსხვერპლო. ნესტორი აღჭურვილი იყო
 მრავალგვარ სამისნო სიბრძნე-სიცრუითა და ამის შემწეობით
 შეძენილი ჰქონდა ქოხიც, რომელშიაც სცხოვრობდა, — ზეთის
 ხილის ხეების ქალაც, სადაც მღვდელ-მოქმედობდა, სოფლე-
 ლების თქმითა.

— ჰაუ, ჰაუ, ჰაუ! — დაიყვია ძაღლმა და გამოხტა ხის
 ხუხულიდან, სადაც დაბმული იყო ჯაჭვით. ამ შემთხვევაში
 მეტი იყო კარის დაკაკუნება. მოესმა რა ძაღლის ყეფა ნეს-
 ტორს, მაშინათვე გამოვიდა კარში, დაუხვდა პატივისცემით
 მრევლს და მიიწვია ეზოში სამსხვერპლოსაკენ. რაღა ლაპა-
 რაკი იყო საქირა: მოსულთ სურდათ შეეტყოთ ღვათების
 ნება. უკვე შეტყობილი ჰქონდა ნესტორს მიზეზი მეღანთის
 და პოლიდევეკოსის სურვილისა, ამიტომაც, თუმცა შუბლი
 შეკრული ჰქონდა, გულში ეცილებოდა. პოლიდევეკოსი წადგა
 წინ, მიუყვანა ცხვარი და დაუდგა წინ ღვინით სავსე დოქი.

— შენი სურვილი, ახალგაზღვა?

— ღმერთების წყალობა! — მოკლედ უპასუხა პოლი-
 დევეკოსმა.

— ფილეთ ხელში ყველამ ზეთის ხილის ტოტი, მოიყა-
 რეთ მუხლი, მიიღეთ სახე აღმოსავლეთისაკენ და მიმართეთ
 ყოვლად ბრძენს ათინას პეანით²).

¹) ზეთის ხილი შეძენილი იყო ათინასადმი.

²) საზეიმო ლოცვა.



სანამ ესენი შეასრულებდნენ ლოცვას, ცხენების უწყვეტ



ქალ-ღმერთი ათინა.

დაკლოული და გამოწლოული იყო. სამსხვერპლოზე ცეცხლი თან-და-თან ძლიერდებოდა, ხარბად დაეღო პირი და ელოდა თავის ხვედრს საკვებს. მკითხავი კი თვალ-გაშტერებული მისჩერებოდა შიგნეულს და სინჯავდა, ხომ არ არის შიგ რამე ნაკლიო. დარწმუნდა რა, შიგნეული ჩვეულებრივი იყო, შესდო ხორცის ნაჭრები ცეცხლში, შეაყარა გუნდრუკი და გულ-დაჯერებით წარმოსთქვა:

— ღმერთები გწყალობენ; ბედნიერ არს სოფელი, რომლის შვილიც შენა ხარ; სიამაყეს მოკლებული — სიამაყედ გარდაიქცევი, უკეთუ არ განარისხებ ღმერთებს!

ცხადი იყო მკითხველებისათვის: პოლიდეკოსის გამარჯვება სოფელს ასახელებდა. კმაყოფილნი გამოეთხოვენ ისინი მკითხავს და დაბრუნდნენ სახლში.

დეღვის¹⁾ სამისნოში.

„უკვდავი ღმერთები სწყალობენ ყველას, ვინც იმათ უხვად სწირავს მადლობას.“ — ასე გადასცა თვალთმაქცმა ქურუმმა მელანთის და პოლიდეკოსს აპოლონის²⁾ რჩევა,

¹⁾ ქალაქია შუაგულ ელლადაში.

²⁾ დედღის სამისნოს მფარველ-პატრონად ითვლებოდა ღმერთი აპოლონი.



პითიას¹⁾ პირით ნათქვამი; მაგრამ, შეამჩნია რა ქაბუცა-ბურთყა თებსავეთ დაბერილი კუნთები მკლავებში, დაუმატა თავის მხრივ:— „და საკუთარის ძალით იპყრობს ბედნიერებას“.

თვის მეშვიდე დღეა. პითია მხოლოდ ამ დღეს იძლევა რჩევას. ჩვენი თევზისელები არ დასჯერდნენ სოფლის მკითხავის წინასწარმეტყველებას და ჩამოვიდნენ თვით დელფის უტყუარ სამისნოში. უკვე რამდენიმე დღეა, რაც საღვთო ქალაქში არიან. სამისნოს მსახურის წინამძღოლობით მივიდნენ საღვთო კასტალის წყაროზე, წმიდა წყალში საბანებლად, და მხოლოდ ამ განწმენდის შემდეგ შეეკითხნენ სამისნოს ღმერთის ნების და წყალობის შესახებ. მიიღო აპოლონ-ღმერთმა მათი მსხვერპლი, და ესენი მზად იყვნენ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. მხოლოდ ახლა, როდესაც ბედნიერად განთავისუფლდნენ ზრუნვისაგან, თვალი მოავლეს არე-მარეს. თუმცა შელანთი და პოლიდეკოსი სოფლელები იყვნენ, მაინც ღრმად გრძნობდნენ მშვენიერებას, როგორც ყველა ელლინი. საკვირველი ამაში არაფერი იყო: პაწია ქვეყანა, მრავალ მშვიდ ყურეებით დასერილი, მარად ფირუზის ცის ქვეშ, წყნარი წყლები, ნაზად შემოხაზული, ამწვანებული მთები, ლაქვარდ ზღვის ტალღებში განებვირებული ქვეყანა, სადაც აქა-იქ მოფანტულია მარმარილოს კუნძულები, შემოსილი დაფნით, კვიპაროსით და ვაზითა, უღვიძებდა ადამიანს სიციცხლის წყურვილს და მშვენიერების გრძნობას.

მზიბლავი სანახაობა გადაიშალა მათ თვალ წინ: ბრტყელ მალეობს, რომელზედაც მოთავსებულიყო საღვთო დელფი, ჯარად გარს შემორტყმოდა დაღვრემილი კლდეები. ბუნებას თითქოს განგებ შეემოსა თოვლით პარნასის მწვერვალნი— ლითორეა და ლიკორეა: ძირს ხომ ყველაფერი შავად იყო შეღებილი.

— დიდება შენ, ნათელიო, აპოლონო, რომელმაც ოქროს ისრით დაამხე საშინელი პითონი! — წამოიძახა კრძალვით მელანთიმ და ზეთის ხილის ტოტი მალლა აღაპყრო.

¹⁾ აპოლონის ქალ-ქურუმი დელფის ტაძარში.

— დიდება, შენ კეთილო ღმერთო, მრისხანე გუგუნი მხის
 თონის დამორგუნველო!— განაგრძო ახლა პოლიდეკოსმა:—
 პითონის, რომელიც ანადგურებდა ყანებს, ერთი ყლუბით
 ჰნთქავდა მთელ წყალს მდინარეებში, არყვედა მთებს, ანგრევდა
 კლდეებს, ჰყლაპავდა ადამიანთა და ცხოველთა და შიშის ზარსა
 სცემდა ნიშნებს!

— დიდება შენ, სნეულთა მკურნალო, დიდება შენ!—
 სთქვეს ერთხმად მამა-შვილმა.

სკოლაში

— ნუ ჩაგიგდია გული: გასწორდი, იაზონ!— ხმა-მალლა
 ეუბნება ქაბუკ მოქიდავეს და ყავარჯენს ურტყამს გულში
 ხელმძღვანელი.— ნუ ჩქარობ, ნუ ხარ სულ-წასული, პოლი-
 დეკოს! შენი კუნთები ისე კარგად მუშაობენ, რომ აღელ-
 ვება სრულიად უსაფუძვლოა! ნუ სჭიმავ, თავისუფლად ამოძ-
 რავე მკლავები!— ეუბნება ახლა თევპისელ პოლიდეკოსს,
 რომელიც უკვე რამდენიმე თვეა სკოლაში სწავლობს.— ია-
 ზონ, ნუ ეშმაკობ, ნუ მიათრევ მოწინააღმდეგეს შშრალ ნი-



ხირბილი რთული ფარებით.

ადაგისაკენ, თორემ შენ-
 თვისვე ცუდი იქნება: აგი-
 ტალახდება ზეთიანი ტანი,
 წაგაველებს მაგრად ხელს
 პოლიდეკოსი ბ მსწრაფლ
 გაგაწვეს ზურგზე!— არი-
 გებს ხელმძღვანელი.

მაგრამ მისი დარიგება

უქმი გამოდგა: პოლიდეკოსმა წამოსდო მძლავრად ფეხი თავის მოწინააღმდეგეს და მი-
 ჰბეჭდა უწყალოდ მიწაზე. ხელმძღვანელმა ყავარჯნით ანიშნა
 მოქიდავეებს ბრძოლის გათავება. პოლიდეკოსი მხიარულად წა-
 მოდგა ფეხზე. განრისხებული მოწინააღმდეგე კი ძლივს-ლა იკა-
 ვებდა თავს. ქაბუკთა ჯგუფი, ხელმძღვანელის ნიშნით, ჩამომწყ-



რივდა რიგ-რიგად და განწყობილ სიმღერით გაემარჯვა ტანსაწმენდ ოთახისაკენ. ზეხილით და აღაღმებით მორთულ სკოლის ეზოში მოისმის დამსწრე შშობელთა ტაში და ალტაცებული ქება-შენიშვნები:

— ათასი ამგვარ ჰაბუკთა რატომ მთელ ქვეყანას არ დაიპყრობს!


— ამათ ხომ მოსაწყლავი ტერფიც კი არ ექნებათ!

ამავე დროს გაოფლიანებულ-გასვრილი მოკიდავენი მტვერში განგებ ამოგანგლულ ტანს საჩქაროდ იწმენდნენ რკინის სამურველით და სიამოვნებით მოვლოდნენ თბილ აბანოს, რომლის შემდეგ წაიგლესდნენ ტანს სურნელოვან ზეთით.

გამარჯვება.

ჯერ მკრთალ-სხივოსანი ეოსი¹⁾ არსად სჩანდა, ჯერ ისევ ქართა მეფის ეოლის ნებით უბერავდა დილის გრილი სიო, გიმნაზიაში²⁾ კი უკვე შეურილან მეტოქეები, რომელთა შორის თევზისელი პოლიდეკოსიცაა. უკანასკნელი თითქმის ერთი თვე ოლიმპიაშია. —

ჩამოვიდა აქ მამასთან ერთად, თუმცა გლეხის ჯიბისათვის ეს აუტანელი ხარჯია. მელანთის ოჯახის მე-



ეტლთა მარულა.

ურნეობას დაპირებისამებრ ყურს უგდებენ მეზობლები, რადგან იმედი აქვთ, რომ პოლიდეკოსი ასახელებს მათ სო-

¹⁾ ცისკრის ღმერთაა.

²⁾ სკოლა მოხდილთა, სხეულის სავარჯიშოდ.

ფელს. მეტოქეები მიეშურებიან ბულევტერიოში¹⁾ რათა ფიცი დასდონ ზევსის სამსხვერპლოზე ხელის დასვენებით, რომ არ დაარღვევენ შეცილების კანონებს. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ მიჰმართავენ ლოცვით დღესასწაულთა მფარველ ზევსს, მთავარი ქურუმი კი მსხვერპლს სწირავს მას და სწევას ზეთის ხილის ტოტებით შემკულ სამსხვერპლოზე თაფლით აზელილ ქერის ფქვილს და ასხამს ზედ ღვინოს, ლოცვის ჩურჩულით.

გაისმა უცებ საყვირის ხმა აღფენის²⁾ საღვთო დღეში, და ამ ხმას გასცა პასუხი გუგუნით მოუთმენლად—მოყაყანე მრავალ-ათასიანმა ბრბომ, რომელიც მზის ამოსვლამდევე შეიკრიბა მთის ფერდობზე, ვეებერთელა ვაკეს ირგვლივ. მის ერთ ბოლოზე იდგა სანიშნო ბოძი, მეორეზე—გამართული



მარტივი სირბილი.

იყო მალღობი, სადაც მოთავსდნენ ათნი მსაჯულნი, მეწამულ ტანთ-საკმელში გამოწყობილნი. ერთადერთი დედაკაცი დაესწრო ამ დღესასწაულს: ეს იყო დემეტრას ტაძრის ქურუმი.

დადგა წუთი შეკრებილთა სიამოვნებისა: ღამაზი მარტივი სირბილი, რთული ფარებითა, ჩაჩქნებით და შუბებით, უწყალო მუშტი-კრივი ტყავის ლითონიან თასმებით ხელზე, — ყველა ეს იწვევდა ბრბოს შფოთვის, აღტაცებას და მასთანაც შურს მათ მიმართ, ვინც გაიმარჯვია. ისევ დადუმდა ბრბო, რადგან მის თვალწინ ახლა სწყდება ბედ-იღბალი კეშმარიტად შეუღრეკელ მოქიდავეთა ერთ წყვილისა. ესენი ერთმანეთის ღირსნი გამოდგნენ. იმათ ზეთით გაგლესილ ტანს ოფლის

1) ოლიმპიის საბჭო.

2) მდინარეა, რომლის ნაპირზე მდებარეობდა ქალაქი ოლიმპია.



ღვარი ასკდება. ერთ მათგანს უკვე იცნობს ბრბოვი ჯიქაღვანისა. პირველი არ არის მისი კიდაობა ოლიმპიის დღესასწაულზე. მეორე ახალგაზდა მოჭიდავე კი თევზისელი პოლიდეკოსია. პირველს სწამს რომ გაიმარჯვებს, მეორეს, თუმცა ძალია შესწევს, გამოცდილება აკლია. ვტყობა, შეუძლია მხოლოდ რამდენსამე წუთს გაუწიოს წინააღმდეგობა მოცილეს. სწორედ ამ დროს მოჭიდავეებთან ახლო მყოფ ბრბოში წამოდგა ვილაც მოხუცი და ხმა-მალლა შეჰყვირა:

— პოლიდეკოს!
მაგრად იყავ! გახსოვდეს, ღმერთები გეწყალობენ, ღმერთები!

ეს მოხუცი—მელანთი იყო. ამ სიტყვებმა გაუღვიძეს მის შვილს დროებით მიძინებული რწმენა. მოიკრიფა პოლიდეკოსმა რაც ძალი და ღონე ჰქორდა და მსწრაფლ დასცა ზურგზე მოწინააღმდეგე. ბრბომ ამოისუნთქა თავისუფლად, მერე კი სიამოვნების ნიშნად მართო ყვირილი და დააჯილდოვა გამარჯვებული მრავალ ყვავილებით.



მოჭიდავენი.

უკანასკნელი საღამო

დადგა, როგორც იყო, დღესასწაულის უკანასკნელი დღეც. პოლიდეკოსმა მიიღო ზევსის ტაძარში ვეება ოქროს



თასი და ზეთის ხილის ტოტების უბრალო გვირგვინს დასაწყისად დადესასწაული, და ოლიმპია ისევ მიეცა ოთხის წლით მყუდროებას და მოსვენებას.


ის იყო დილის მსუბუქი ნისლი გადნა ივლისის მზის ცხოველ-მყოფელ სხივებში, როდესაც მამა-შვილი გაუდგნენ შორეულ გზას შინისაკენ. აქა-იქ მიფანტული მრავალი მღუმარე ტამარი, სამსხვერპლო და გმირთა და ღმერთთა ალაღმანი, დაჩრდილულნი შორიდებულ ზეთის ხილის ხეებით, მედიდურ ქანდრებითა და ბზებით, უცხონი პოლიდეკოსისათვის იქ შესვლის დროს, ახლა ძვირფასნი იყვნენ მისთვის, რადგან იქ უკვდავ იქმნა მისი სახელი, იქ დაიდგმის მისი ალაღმა. ერთხელ კიდევ გადახედა მან საღეთო ქალაქს უკანასკნელ საღამის ნიშნად და გაბედულად გაუდგა გზას. ფრთა-შესხმულმა ოცნებამ წარმოუდგინა თვალ-წინ სოფელში მისი შესახვედრი ზეიმი, ხალხში საუკუნო პატივისცემა.

— „დიდება შენ, ძლიერო ჰერაკლევ,“ — ხმა-მალლა წარმოსთქვა მან ღმობიერად, — დიდება შენ, ოლიმპიელი მძლეველო“!..

დავ. კილოსანიძე.



1) თქმულების მიხედვით, ოლიმპიის დღესასწაული დაარსებულია გმირ ჰერაკლეს მიერ.



ზამთრის მთლოდინში

ბა მოღრუბლული
დაჰყურებს არეს;
კისკასი დილა
აღარ გვახარებს.

არ აცისკროვნებს
მზის სხივი ველსა;
არ ამშვენებენ
ფოთლები ხესა.

ბალში ყვავილი აღარ გვიცინის;
საბრალო სუმთლად გაფითრებულა.
სევდას მოუცავს ტყე გაძარცული;
ამაყი მთები ჩიფიქრებულა.

და ვიცი—მალე დაიგრიანებს
ქარი საზარი, ქარი ზამთრისა,—
ამ ჩემს ბალს სრულად გაატიალებს,
შორს გაიტაცებს ფერფლებს ვარდისა;

და მეც მას ფიქრით ავედევნები,
იმ გულის-მზარავ უდაბურ მზარეს,
სადაც მეც მისებრ ღრიალ-ხარხარით
ვინმე გამითხრის შავსა სამარეს.

მიმქრალი.



სიხარულა

(დასასრული *)



მაწვილი ისევ გზას გაუდგა. სამი დღის შემდეგ მიაღწა ერთ სამკედლოს, რომელიც მთის გადახრუკულ ფერდობზე გზის პირად იდგა; შეიხედა შიგ და დაინახა—მკედელი გაჩქარებით სკედავს ოქროს ბეჭედს, ყმაწვილი მიესალმა მკედელს, მაგრამ მან პასუხი არ გასცა. მიიხედა ყმაწვილმა მარცხნით და დაინახა ოქროს გალიაში დამწყვდეული ვეებერთელა ფასკუნჯი. იმის შეხედვაზე თავჩამოქინდრული ფასკუნჯი შეკრთა და მოუსვენრად ტოკვა დაიწყო. ყმაწვილმა უჩუმრად გადაიხადა კალთა და მკედელს მიაყენა გულის ქინძისთავის სინათლე. მკედელმა შეხედა ყმაწვილს და ბოროტ სახეზე ნაოკები გაეშალა.

— უმძრახ ბეჭედსა ვკვერაგ, იქნება ბედმა ვისმე არგუნოს,—აუხსნა მან ყმაწვილს.

— რა უნდა არგუნოს?—ჰკითხა ყმაწვილმა.

მკედელმა პატარა ხანს პასუხი არ გასცა.

— ეჰ, როგორღაც თვალში მომიხვედი, ბიჭო, და გეტყვი. ამ ათი წლის წინად აი ამ ფასკუნჯმა ჩვენ გაუცინარ ხელმწიფის ქალს მამაპაპეული გულის ქინძისთავი მოსტაცა. ფასკუნჯი აქეთ გამოფრინდა. თითონ ხელმწიფე დაედევნა

*) იხილე „ნაკადული“ № 1.



მას თავის ამალით. სულ მიწას ზანზარი გაჰქონდა, როდესაც იმათ აქეთ გამოაქროლეს ცხენები. ესროლეს ისრები ფასკუნჯს და ფრთაში დასქრეს, მაგრამ მან გულის ქინძისთავი ნისკარტიდან გააგდო და სადღაც დაიკარგა. მაშინ აქ ატეხილი ტყე იყო და აბა ვინ სად იპოვიდა. მას აქეთ არავინ არ იცის— მიწამ ჩაყლაბა თუ ცამ ის გულის ქინძისთავი. ის იყო და ის. მას შემდეგ მთელ ქვეყანას კეთილი დღე არ უნახავს. არც ხელმწიფეს და არც იმის ერს მას შემდეგ არ გამოუცდია, თუ რა არის სიცილი. ყველას გული ბოროტებით აევსო. მზე დაგვიბნელდა, თითქო გველეშაპმა ჩაყლაბაო, და ასე ნელ-ნელა უბედურების გზაზე მივდივართ. ის დაქრილი ფასკუნჯი აქ ჩავსვი გალიაში და სულ ასე დაღონებულია. ეხლა მე უძძრახ ბეჭედს ვკვერავ: იქნება ამ დროს ბედნიერი ვინმე შემეხსნოს და ამ ბეჭედმა ისეთი ბედი არგუნოს, რომ გულის ქინძისთავი იპოვოს მეთქი. მაგრამ აქამდის არავინ არ გამოჩნდა ისეთი.

— აბა ერთი მე მაჩვენე ეგ ბეჭედი, — უთხრა ყმაწვილმა და ბეჭედს ხელი წაატანა.

ამ დროს ახალუხის კალთა გადაეხადა და გულის ქინძისთავმა ფასკუნჯს შეანათა. ფასკუნჯი შეკრთა. ერთი ღონივრად ფრთა მოიქნია, გალია გატეხა და გარედ გადმოხტა. ამ დროს ყმაწვილმა ბეჭედი ხელზე გაიკეთა და მოახტა ფასკუნჯს. ფასკუნჯმა იფრთხილა და თვალის დახამხამებაზე ზეცაში აფრინდა და თან ყმაწვილი აიყვანა.

დიდხანს იფრინეს ფასკუნჯმა და ყმაწვილმა და შებინდებისას ზღვის პირს მიატანეს. შორიდან უკვე ერთი ვეგებერთელა ქალაქი გამოჩნდა. როდესაც ფასკუნჯმა სთხოვა ყმაწვილს, ეგ ბეჭედი გადამაყლაპე, თორემ ძალა გამომეღიო, ყმაწვილმა ბეჭედი გადააყლაბა. ფასკუნჯმა უფრო ძლიერად მოიქნია ფრთა და პატარა ხანს უკან ქალაქს მიატანა. იქ ზღვის პირად მთაზე ერთი ბროლის კოშკი იდგა, რომელსაც გარ-



შემო ბალი ჰქონდა. შიგ ყვავეილები და ფოთლები ნულ გადამხმარი იყო. იმ ბალთან ჩამოსუა ფასკუნჯმა ყმაწვილი და თვითონ გაფრინდა. ყმაწვილმა ბროლის კოშკს მიაჩერა თვალები. იქ არავითარი სიცოცხლის ნიშანი არა სჩანდა. მკრთალი და მუქი სამგლოვიარო სინათლე იმ ბროლის კოშკისა კაცს შიშის ზარს მოჰგვრიდა.

როდესაც შეღამდა და მთელი ქალაქი ძილმა შეიპყრო, ყმაწვილმა ამოიღო კალთიდან ფანდური და მიანათა ბროლის კოშკს გულის ქინძისთავის სინათლე. ფანდურიც მთელ ღამეს საუცხოვო სიმღერებს უკრავდა. გათენებამ რომ მოატანა, სიო ამოქროლდა, მიწა დაინამა და ბალში ნარგიზმა გაშლა დაიწყო. გათენდა თუ არა, ყმაწვილმა თავისი ფანდური დამალა. პატარა ხანს უკან ბროლის კოშკის კარი გაიღო და იქიდან ძირს ჩამოვიდა შეგებით მოსილი ქალწული. მოწყენილი სახე ძირს დაეხარა; მისი სახე მკრთალ შუქსა ჰფენდა არე-მარეს. თვალები უმოფარო ღამესავით ჩაბნელებოდნენ. უკან მოსდევდა შეიარაღებული ქაბუკი, სულ შეგებით მოსილი. ქალი რომ ბალში შევიდა, უცებ შეკრთა, მერე ერთ წამს ისეთმა ღიმილმა გაურბინა ბაგეზე, რომ ნარგიზს სიამით გული გადაეშალა. მის თვალებში ვარსკვლავებმა დაიშკიმციმეს.

— ნარგიზი გაშლილა!—სთქვა მან აღტაცებით და თავი მიიბრუნა, რომ ქაბუკისათვის შეეხედა; მაგრამ ამ დროს ერთი დაიწიელა და დაეცა უგრძობლად. ქაბუკი ეცა, წამოაყენა, ნარგიზის ცვარი აპკურა და გონს მოიყვანა.

— რა მოგივიდა, ჩემო ღეთაებავ! მითხარ და თავს გაეწირავ შენთვის.

— ის... მომაშორეთ, მომაშორეთ!—ანიშნა ქალმა დაბრანძულ ყმაწვილზე, რომელიც იქვე იდგა და ახალუხის კალთაში რაღაცას მალავდა. ქაბუკმა ხმალი იშიშელა და ეცა



ყმაწვილს თავის მოსაკვეთად; მაგრამ თვალეებში რომ შეხედდა, ხელი შეაჩერა. ამ დროს ყმაწვილმა იმასაც მიანათა გულის ქინძისთავი და ქაბუკმა ხმალი ძირს ჩამოუშვა; მერე მიუბრუნდა ქალს.

— უცნაური რამ მარგალიტის თვალი აქვს ამ ბიჭს. მისმა სინათლემ გულში საამური სხივი ჩამიდგა.

— წამიყვანე კოშკში: გული მიწუხს, სული მეხუთება. ქაბუკმა ქალს ხელი დაუჭირა და ნელის ნაბიჯით კოშკში აიყვანა.

ელვასავით გავრცელდა ქალაქში ეს ამბავი. ყველამ გაიგო: ხელმწიფის ქალი შეუძლოდ არისო, და მთელი ქალაქი კოშკთან მოზღვავედა. ბოლოს თვით მეფეც მოძძანდა თავის ამალით. ყველანი ძაძებში იყვნენ გახვეულნი. ყველას დაღვრემილი სახე ჰქონდა. უცხო ყმაწვილი დაიჭირეს და საპრობილეში ჩაადგეს.

ქალი მთელი დღე შეწუხებული იყო ვერავენ ვერ გაუგო ავადმყოფობის მიზეზი. საღამო ეამს ქალი ცოტა გონს მოვიდა, ლოგინზე წამოჯდა.

— სიხარული მოდის, მამილო, სიხარული. რა საამურად მიცემს გული! აბა ხელი დამადე, მამილო, გულზე!..

მერე ქაბუკს გადახედა ქალმა; სიბრალულის და სიყვარულის კილოთი მოიხმო, ხელი დაუჭირა.

— შენ ნუ დანალვლიანდები! ისე შეყვარები. . როგორც... ღვიძლი ძმა, ჩემთან შეზრდილი.

კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი ხელმეორედ მიწვა; გრძნობა დაკარგა. პატარა ხანს უკან ისევ გონს მოვიდა. წამოჯდა.

— მომიყვანეთ აქ, აქ მომგვარეთ!

მაყურებლებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

— ვინა, შვილო, ვინ მოგვაროთ? — ჩაეკითხა მამა.



— ის, ის, აქ მომგვარეთ, ციხეში ნუ გყავთ! ანა დავა-
 შავოთ-რა! აქ მომგვარეთ... ოქროს ტახტზე დასვით. მუხლს
 მოუყრი, ხელზე ვემთხვევი, გულს ფიანდაზად გაუშლი.

მეფემ უბრძანა და მაშინვე უცხო ყმაწვილი ბროლის
 კოშკში ამოიყვანეს.

ქალი ყმაწვილს შეაჩერდა; სახე ვარდივით გადაეშალა.
 გული საამურად აუძგერდა. თვალეზში ვარსკვლავებმა დაუ-
 ციმციმეს. შემდეგ ნიავსავით ალერსიანი ხმით მიმართა ყმა-
 წვილს:

— ვინა ხარ, უცხო ყმაწვილო, რა გქვია სახელად?

— სიხარულა!—იყო პასუხი.

ერთ წუთს ყველა გაშეშდა.

— სიხარული მოვიდა, სიხარული!— იგრილა შემდეგ
 ხალხმა, და მთელ ქალაქს გრგინვასავით მოედვა ეს ხმა.

ხელმწიფის ქალი წამოდგა სარეცელიდან, მოავლო ხე-
 ლი სიხარულას, დასვა ოქროს ტახტზე და ჩააცვა საუცხოვო
 ტანისამოსი. ყმაწვილი ისე დამშვენდა, რომ გარშემო სულ
 მზის სხივებს აფრქვევდა.

ფანდური რომ ამოიღო, კოშკს საამური, მშვიდი ცის-
 ფერი სინათლე მოეფინა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, მაგრამ
 ქალაქში შუალამემდის სიხარულის ძრიაბული არ შეწყვეტი-
 ლა.

შუალამე რომ დადგა, სიხარულა და ხელმწიფის ქალი
 დადგნენ ფანჯარასთან. სიხარულა თავის ფანდურზე მთელი
 ღამე უკრავდა. გათენებამ რომ მოატანა, სიო ამოქროლდა და
 ალვის ზის ტოტები შეარხია. ბაღში ია გაიშალა, ვაზი გაი-
 ფოთლა და სიამის ცრემლი მოგრიო; იასამანმა სურნელება
 მოჰფინა არე-მარეს.

დილის ცისკარმა თავის ვარდის ფერ თითებით ბროლის
 ღრუბლები მიმოჰფანტა.



შუადღემ რომ მოატანა, ბამბის ქულასავეთ
 ღრუბლები შეჯგუფდნენ ერთი საშინლად გაიფლავა, დაი-
 კეპა და შემდეგ ისეთი მსხვილი, საამური, წყნარი, ეუფუნა
 წვიმა წამოვიდა, რომ მოაღბო არე-მარე, მოუღბო გული
 ხალხსაც.

ამის შემდეგ ძმობა, ერთობა, ბედნიერება და სიყვარული
 დამყარდა ამ ქვეყანაში.


გიგო ნათაძე.





საქართველოს
საქართველოს

ზამთარია!..



ამთარია!.. ცხრა-თვალი მზე
ცაში აღარ დასრიალებს;
იმის ნაცვლიად არე-მარეს
ღრუბელთ გროვა დასტრიალებს.

ზამთარია!.. ვარდთ აშიცი
თვის ჩანგს აღარ აწკრიალებს.

მაღალ კლდეთა პირმშო შვილი,—
აღარც წყარო მოჩხრიალებს.

ზამთარია!.. თეთრ სუდარას
დაუფარავს ტურფა მხარე;
მას დარაჯად თავზე ადგას
ღამ-ღამობით ბადრი მთვარე.

ზამთარია!.. ღარიბ-ღატაკთ
არსადა აქვთ თავსაფარი:
საცოდავად კანკალებენ,
თვალთგან სცვივათ ცრემლი მწარი!

ზამთარია!.. ყოველ სულდგმულს
გულში სევედა ეპარება;
სასოებით ცას შეჭყურებს,—
ვაზაფხული ენატრება!..

დ. ელიოზიშვილი.



წიფელა და მუხა



მ ძველი დროის ამბავია, რო-
ცა არ იყო დედამიწაზე ქა-
ლაქები სახლებით, ქუჩებით
და მაღალი სამრეკლოებით.
არ მოიპოვებოდა მაშინ სკო-
ლებიც, რადგანაც ბავშვების
მცირე რიცხვი იყო. ბიჭები
სწავლობდნენ თავის მამე-
ბისაგან ისრის სროლას,
ირმების საბალახოზე გამო-
რეკას, დათევებზე ნადრო-
ბას, და იმათი ტყაისაგან
ტანისამოსის შეკერვას. ორ

ნაჭერი ხეს ერთმანეთს მაგრად უსვამდნენ და ამგვარად ცეცხლს
აჩენდნენ.

არ იყო მაშინ არც რკინის გზები, არც დამუშავებული
მინდვრები, არ იყო ხომალდები ზღვაზე, არ იყო წიგნები,
რადგანაც მაშინ არ მოიპოვებოდა მთელ დედა-მიწაზე წერა-
კითხვის მცოდნე ადამიანი.



დედამიწა იმ დროს ტყეებით იყო მოფენილი. ხეები ძალიან ბევრი იზრდებოდა ყველგან, თითქმის ზღვის ნაპირებამდის, რომლებსაც ცამდის აეტყორცნათ თავიანთი წვეროები.

ხეები მშვენივრად იცნობდნენ ერთმანეთს, რადგანაც ერთ დიდ ოჯახს ეკუთვნოდნენ და თავიც მოსწონდათ ამით.

— ჩვენ ყველანი მუხები ვართ, — ტრაბახობდნენ ისინი: — დედამიწა ჩვენია; ჩვენა ვართ აქ ბრძანებლები.

მართალს ამბობდნენ. იმ დროებში აღამიანთა რიცხვი მცირე იყო. ტყეში ცხოვრობდნენ მხეცები: — დათვი, მგელი, მელა და სხვები. ტყის თავი იჯდა თავის სოროში და რკოს შეექცეოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მოირბინა დათვა და გაიშხლართა მალალი მუხის ქვეშ.

— შენ, არამზადავ, კიდევ აქ ბრძანდები! — შეჰყვირა მუხამ და თავზე დააყარა გაყვითლებული ფოთლები.

— ნუ ფანტავ ასე უქკუოდ ფოთლებს, ჩემო მეგობარო, — უთხრა დათვა. — შენგან არაფერი ხეირი არ მინახავს; მხოლოდ ისაა, რომ შენ ჩრდილში ვისევნებ.

— მე თუ შენთვის საჭირო არა ვარ, შეგიძლია გზას გაუდგე, — ამაყად განუცხადა მუხამ. — მე ვარ მეუფე ამა ქვეყნისა: საითკენაც არ გაიხედავ, ყველგან მხოლოდ ჩემ ხალხს, ჩემ ძმებს დინახავ.

— მართალია, — წაიბუტბუტა დათვა, — მაგრამ ეს ხომ სამწუხაროა. მე ცოტა ხანს მიმგზავრია სამხრეთის ქვეყნებში, საზღვარ გარედ და ერთხელ წიფლის ქვეშ ძილი მომიხდა. წიფლები დიდრონი, ლამაზი ხეებია... ისეთი სქელი ტოტები აქეთ, რომ ქვემოდ მზის სხივებს არ უშვებენ. ოჰ, რა სასიამოვნო იყო ნასადილევს მათ ჩრდილში ძილი!

— რა ხეებია ეს წიფლები? — ცნობის მოყვარეობით იკითხა მუხამ.



— შენ დიდად ბედნიერი იქნებოდნი, მათსავეთ ლაშანი რომ ყოფილიყავი, მაგრამ შე არ მცალია ახლა შენთან სალაპარაკოდ. იმ წყეულმა მონადირემ ფეხში ისარი მომახვედრა. დიდი მანძილი გავირბინე და ძალიან დავილაღე. ახლა შე დავიძინებ, და მიყავ სიკეთე: მომეც მოსვენება.

დათვი გაიშხლართა მიწაზე და დახუჭა თვალები, მაგრამ გემრიელად ძილი დიდხანს ვერ შესძლო. საჭმე იმაშია, რომ სხვა ხეებმაც გაიგონეს წიფლის ამბავი და ახლა ტყეში ასტყდა ისეთი ხმაურობა, გაჩაღდა ისეთი ლაპარაკი და ფოთლების ჩურჩული, რომლის მზგავსი ჯერ არავის გაუგონია.

— ღმერთმა იცის—რა ხეებია ეს ხეები,—სთქვა ერთმა მუხამ.

— დათვმა, რასაკვირველია, ყველანი მოგვატყუა,—სთქვა მეორემ.

— ის რა სქელ-ფოთლებიანი ხეებია, რომ შუის სხივებს არ უშვებენ დაბლა?—იკითხა ახალგაზდა მუხამ, რომელიც ისმენდა თავისი ამბანაგების ლაპარაკს.

იქვე გვერდზე იდგა მოხუცებული, ხორკლებიანი ხე; იმან დაარტყა ახალგაზდა მუხას ერთი თავისი ქვედა ტოტი:

— გაჩუმდი! მოიცა, ჯერ გაიზარდე, და მერე ემუსაიფე ხალხს,—უთხრა მან.—თქვენ კი, ხეებო, ნუ გჯერათ ის სისულელე, რომელიც დათვმა გიამბოთ. შე ბევრად უმაღლესი ვარ თქვენზე, და შემოძლია მთელ ტყეს თვალი მოვაგლო. მაგრამ სადამდისაც თვალი მიქრის—მხოლოდ მუხებს ვხედავ.

ახალგაზდა მუხას შეეშინდა და გაკმიდა ხმა სხვა დიდ-რონი ხეები-კი წყნარად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, რადგანაც დიდად პატივსა სცემდნენ ბებერ მუხას.

დათვი წამოდგა და მოიფშენიტა თვალები.

— თქვენ არ დამაძინეთ ნასადილევს,—გაჯავრებით წაიბუტბუტა მან.—კარგად იცოდეთ, რომ სამაგიეროს გადაგიხდით. როცა აქ დავბრუნდები, მოვიტან თან წიფლის თესლს,



და შურისაგან გაყვითლდებით. ამ თესლიდან ამოსულმა მუცკერმა ახალ ხეებს დინახავთ. სთქვა ეს დათემა და გაუღდა გზას.

მთელი დღე მუხები ლაპარაკობდნენ იმ სასაცილო ხეებზე, რომელთა ამბავი დათვისაგან გაიგონეს.

— თუ ისინი აქ მოვლენ, შე არ მივაკარებ მზის შუქს და ჰაერს, — ემუქრებოდა ახალგაზდა მუხა.

ამ სიტყვებით მან ბებერი მუხის წყრომა დაიმსახურა.

— როცა მოვლენ, უნდა დახედე ზრდილობიანად, ძუძუმწოვარო, — უთხრა მან, — მაგრამ ისინი არ მოვლენ.

ბებერი მუხა მოსტყუედა. ახალი ხეები მართლაც მოვიდნენ. შემოდგომით დაბრუნდა დათვი და ბებერი მუხის ქვეშ წამოწვა.

— რადგან დაგპირდი, — აი, კიდევაც მოგიტანე წიფლის ნაყოფი, — უთხრა დათემა მუხას. შემდეგ ჩაბეკნა ნაყოფი შიშის და მოემზადა წასასვლელად.

— როგორ მწყინს, რომ დიდხანს ვერ მოვიცდი და ვერ დაეინახავ, როგორ დაგტანჯავთ შური, — წაიბუტბუტა დათემა. — ეს შურიანი ქმნილებანი, ადამიანები, ბოლოს და ბოლოს მეტის-მეტად უზრდელნი შეიქნენ: იმათ მოკლეს ჩემი ცოლი და ერთი ჩემი ძმა. უნდა მოვნახო სადმე მყუდრო ადგილი. ჩემსავით პატიოსანი დათვი ვერსად ვერ იგრძნობს თავს ბედნიერად. მშვიდობით, ძველო შეგობრებო!

როცა დათვი წავიდა, ხეებმა გადახედეს ერთმანეთს.

— ვნახოთ, რა გამოვა ამისგან, — სთქვა ბებერმა მუხამ. ხეები დაწყნარდნენ.

მოვიდა ზამთარი და გაიტაცა ხეების ფოთლები. თოვლი დაფარა დედამიწა. ხეები ზამთრის ფიქრებმა მოიცვა და ოცნებობდნენ გაზაფხულზე.

მოვიდა გაზაფხულიც. ბუნება მწვანით შეიმოსა. ფრინველებმა იწყეს გალობა იქ, სადაც უკანასკნელად იგალობეს



გამომშვიდობების დროს. ყვავილები ათასობით ამოვლინდნენ მიწიდან და ყველაფერი საუცხოვოდ ბრწყინავდა მზეში.

მხოლოდ მუხებზე არ სჩანდა ჯერ კიდევ ფოთლები.—ყველაზე გვიან მოსვლა—დიდებულთა წესია,—ამბობდნენ ისინი:—ტყის მეფე გამოცხადდება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი საზოგადოება თავმოყრილია.

ბოლოს იმათაც დაუდგათ კარგი დრო. ხეები ფოთლებით, გაზაფხულის შვენებით შეიმოსა. ახალგაზდა მუხა შესამჩნევად წამოიზარდა და საერთო ლაპარაკში მონაწილეობა ისურვა.

—დათვისაგან დარგული წიფლის ნაყოფი ვერ იხეირებს,—დაცინვით სთქვა მან.

ბებერ მუხას ესმოდა იმისი სიტყვები, ესმოდათ სხვა ხეებსაც, მაგრამ ყველანი სდუმდნენ. არც ერთს არ დავიწყებია, რაც იმათ დათემა უამბო.

დილით, როცა ამოდოდა მზე, ისინი ჩუმად დასცქერდნენ დედამიწას—წიფლის ამოსვლას უცდიდნენ. მართალი რომ ესთქვათ—კულ გუნებაზე იყვნენ, მაგრამ თავმომწონედ იდგნენ და არაფერს არ იმჩნევდნენ.

ბოლოს, ერთ მშვენიერს დღეს, გამოჩნდნენ ნორჩი ხეები. მზემ მიაგება იმათ თავისი შუქი და წვიმამ მოუკლა წყურვილი.

გავიდა რამდენიმე ხანი და ხეები საკმაოდ წამოიზარდნენ.

—ღმერთო ჩემო, რა ლამაზები არიან!—წამოიძახეს დიდმა მუხებმა და დაიხარნენ დაბლა, რომ უფრო კარგად დაეთვალიერებინათ ახალი თაობა.

—კეთილი იყოს თქვენი ამოსვლა!—უთხრა ბებერმა მუხამ და მოწყალებდ თავი დაუკრა წიფლებს. ჩემ შვილობილებად გცნობთ. ვისურვებთ, რომ ჩემ საკუთარ შვილებსავით კარგები იყოთ.



— გმადლობთ, გმადლობთ! — წაიხურჩულეს ახალგაზრდობა წიფლებმა.

პატარა მუხას ამ უცხო სტუმრების ამბვის გაგებაც არ სურდა.

— სწორედ საშინელებაა, როგორ სწრაფად იზრდებით! — წამოიძახა მან, რადგან ერთობ გულნაწყენი იყო. — უკვე ჩემ სიმაღლისანი ხართ. ნუ თუ არაფრად აგდებთ, რომ მე თქვენზე უფროსი და ძველ-დროიდან აქ მცხოვრები, დიდი ოჯახის წევრი ვარ?

წიფელამ გაიცინა თავისი პატარა მწვანე ფოთლებით, მაგრამ თქმით კი — არაფერი უთქვამს.

— მოგაშოროთ ჩემი ტოტები, რომ მზემ უფრო კარგად გაგანათოთ? — ზრდილობიანად ჰკითხა ბებერმა მუხამ.

— დიდად გმადლობთ! — მიუგეს წიფლებმა. — ჩვენ აქ ისედაც მშვენივრად ვიზდებით ჩრდილში.

გავიდა მთელი ზაფხული, შემდეგ კიდევ რამდენიმე წელიწადი. წიფლები კი სულ იზრდებოდნენ და იზდებოდნენ ბოლოს კიდევ გაუსწრეს ახალგაზდა მუხას.

— გასწით თქვენი ფოთლები! — წამოიძახა მუხამ, — თქვენ მართმევთ მე მზის სინათლეს; ამას-კი სწორედ ვერ მოვითმენ. მე ბევრი სინათლე მჭირია. გასწით თქვენი ფოთლები, თორემ დავიღუბები!

წიფლები-კი იცინოდნენ და ზრდას განაგრძობდნენ. ბოლოს იმდენად აიყარეს ტანი, რომ დაჩრდილეს ახალგაზდა მუხა. იგი გაყვითლდა და დაიღუპა.

— ეს სწორედ არ არის თქვენი მხრით ლამაზი! შეპყვირეს დიდმა მუხებმა და გულმოსულად შეანძრიეს თავისი ტოტები..

წელი წელს მისდვდა, წიფლები-კი სულ მალა იწვედნენ; მშვენიერ დიდრონ ხეებად გადაიქცნენ, და ბებერ მუხის ტოტებს შუა გზა გაიკვალეს.



— თქვენ მძიმე ტვირთად გადაიქცით ჩემთვის, — უთხრა მუხამ ერთ მშვენიერს დღეს. — ახლა გვერდზე უნდა გაშალოთ ტოტები, და არა მალა იწვედეთ. შეხედეთ, როგორ დაბლა ჩამოკიდულა თქვენი ტოტები! უნდა შეევეცოთ, როგორც წესია: აი, როგორც ჩვენ ვკვეცავთ! რას იზამთ, თუ ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი? არ იცით, როგორ არხევს და გლეჯავს ქარი ჩვენს წვეროებს!

— ყველა თავისი წესით იზდება: ჩვენც — ჩვენსას მივსდევთ, — უპასუხეს ახალგაზდა წიფლებმა. — ასეთია ჩვეულება ჩვენ სამშობლოში; რისთვის უნდა ვიყოთ თქვენზე უარესები?

— არ მოგთხოვთ მაინცა და მაინც, რომ პატივი სცეთ ჩემ მოხუცებულობას, — უთხრა მუხამ. — მე უკვე ვნანობ, რომ კარგად არ გეპყროდით. თუ თქვენში კიდევ დარჩენილა კეთილშობილების ნაპერწკალი, გადასწიეთ ცოტათი გვერდზე თქვენი ფოთლები! წელს ჩემს ქვედა ტოტებზე თითქმის სულ არ ამოსულა კოკრები, რადგან თქვენ სინათლე დამიჩრდილეთ.

— რა გვენადვლება? — უპასუხეს წიფლებმა: — ჩვენ ჩვენი დარდი გვაწუხებს. თქვენ ბედს უნდა შეურიგდეთ. ასეთია ამ წუთი-სოფლის წესი.

მუხის ქვედა ტოტები ხმებოდნენ. ბებერი მუხა სწუხდა. სახუმრო საქმე არ იყო.

— რა კარგები ყოფილხართ, — ილანძლებოდა მუხა. — ასე მიხდით სამაგიეროს კეთილ მასპინძლობისათვის? როცა თქვენ პატარები იყავით, მე ვზრუნავდი თქვენთვის. ჩემ გვერდით იზრდებოდით და გიფარავდით ქარიშხალისაგან. ჩემი ნებართვით მზე გფენდათ თავის შუქს. როგორც ჩემ ღვიძლ შეილებს, ისე თავს გვევლებოდით. თქვენ კი, მადლობის მაგიერ, ახლა გინდათ დამალრჩოთ?

— რა სულელი ხეა! — სთქვეს წიფლებმა.



აყვავილდნენ წიფლები და მოისხეს ნაყოფი, ყოფი დამწიფდა, ქარმა დაანძრია ტოტები და თესლი შორს, ძალიან შორს გაიფანტა.

ერთხელ წიფლის ქვეშ მელამ იწყო მიწაზე კოტრიალი. მის ბეწვს მიეკრა წიფლის ნაყოფი და ნადირმა იგი შორს გაიტაცა. ასე მოიქცა დათვიც.

ბებერი მუხა მთელმა ტყემ სასაცილოდ აიგდო. ახლა ხალხი მის ქვეშ-კი არა, არამედ ახალგაზდა წიფლების ჩრდილში ისვენებდა. ტყის თავგეს ძალიან მოეწონა ახალი საქმელი და არწმუნებდა ყველას, რომ წიფლის ნაყოფი ბევრად უფრო გამრჩელია მუხის რკოზე.

გარშემო-კი გამოჩნდნენ სულ ახალ-ახალი პატარა წიფლები, და იზრდებოდნენ ისევე სწრაფად, როგორც მათი მშობლები. მზიარული თვალით უცქეროდნენ ქვეყანას, თითქო იმათი სინდისი სრულებით სპეტაკი ყოფილიყოს.

ბებერი მუხა ღრმა მწუხარებით უცქერდა ტყეს. ყოველ მხრივ მოსჩანდნენ ბრწყინვალე წიფლის ფოთლები. მუხები-კი ოხრავდნენ და უბედურებას შესჩიოდნენ ერთამენეთს.

წიფლები ძალას იკრებდნენ.—ყვიროდნენ.—დედამიწის ბატონ-პატრონნი გახდნენ.

მუხის ტოტებს, ერთი მეორეზე, სული ხდებოდათ. ქარი ამტვრევდა იმათ და მიწაზე ჰყრიდა. ბებერ მუხას მალლა კენწეროზე მხოლოდ რამოდენიმე ფოთოლი-ლა შერჩა.

— შალე მეც მომეღება ბოლო! — გადასწყვიტა მუხამ.

ახლა უკვე გამრავლდნენ დედამიწაზე ადამიანები. ჩქარობდნენ დანარჩენი მუხების მოკრას.

— მუხის ხე წიფლისაზე უკეთესია, — ამბობდნენ ისინი.

მუხა მიუბრუნდა წიფლებს და უთხრა:

— თავს არ ეზოგავედი და გეხმარებოდით, როცა თქვენ პატარები იყავით. ღმერთო ჩემო, როგორი სისულელე ჩავი-

დინე! წინად ჩვენ, მუხები, დედამიწის მეფეები ვიყავით; ახლა-
 კი, ვხედავ, როგორ წლიდან წლამდე ჩემი ძმები ბრძოლაში
 იღუპებიან. მეც მალე დავიღუპები. მაგრამ სიკვდილის წინ
 მაინც მსურს ერთი რამ გავიგო: რა თვალით უყურებთ თქვენ
 საქციელს?

— ამაზე პასუხი არაა ძნელი, ძველო მეგობარო, — უთ-
 ხრეს წიფლებმა. — ეს არსებობისთვის ბრძოლაა. ჩვენ ის არ
 გამოგვიგონია. არსებობისათვის ბრძოლა მართავს ქვეყანას.

— არ მესმის თქვენი სიტყვები: ჩემის აზრით-კი ეს შავ-
 ბნელი უმადურობაა, — სთქვა მუხამ და სული განუტევა.

აპოლონ ჯიბუტი.





საქართველოს შესანიშნავი ადგილები



უხიფარიონის მთა

ოქტუხს, მოშხუის ძლიერი რიონი და კეკელუც იმერეთს ანოყიერებს. გიჟმაფი მდინარე აპობს მინდვრებს, ტყეებს და კლდე-ღრესს; გულში იხუტავს, სრულებით ითვისებს და თან მიაქროლებს ზანტ წყალ-წითელას, გაშავებულ ყვირილას და მრავალ მოჩუხჩუხე ანკარა წყარომდინარეს. რაც უფრო ქვემოდ მიდის, უფრო დიდდება, რაც უფრო შორს მიდის, უფრო ძლიერდება და თავის ძლიერებას, სიჩქარის და ქუხილის მაგიერ, მედიდური ბუტბუტით და მღორე მსვლელობით გამოსახავს.

შემკულია რიონის ნაბირები. აი, მშვენიერი ტყე; აგერ მთა-ბორცვების დიად ჩარჩოში მოქცეული ტრიალი მინდორი, და აჰა, ესეც მაგარი კლდენი.

მირბის რიონი... ცვარი ცვარს მისდევს, წყალი-წყალს, და თითქოს გაურბის თავ-თეთრა მოხუც ფაზის მთას, რომელმაც ის შობა და შორი გზით თბილი ზღვისაკენ გაისტუმრა. სწრაფ მდინარეს ვერ აჩერებს რაქა-ლეჩხუმის სალი კლდეები. მძლავრი მოქნევით გადაუჭრია დიადი ხიდის კარი—კარი რაქისა, შუა გაუპია მედიდური ზვამლი და, ლებენას



ცქერით დამტკბარი, გვერდს ჩამოუვლის ამაყ უხიმერიონს, კობტა ქუთაისს.

როინი ამკობს უხიმერიონს, უხიმერიონი-კი ამშვენიერებს მთელ საქართველოს. მას იცნობს მთელი მსოფლიო. სწორედ აქ იყო გაშენებული ის ძველი, მაგარი კუთაია, რომელსაც ასწერს პტოლომეოსი და დამღერდნენ ბერძენთ შგოსანნი. აქეთკენვე გამოემართნენ არგონავტები, ოქრო-მატყლოვანი ვერძის საძებნელად. აქვე იყო დავით აღმაშენებლამდე გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქი.

ახლა ქუთაისი უმთავრესად ქვემოდ არის ჩამოსული, და დაობლებული, უპატრონოდ დარჩენილი უხიმერიონის ციხის დანგრეული კედლები ზემოდან დაჰყურებდნენ მას. საქართველოს ისტორიის მოწმენი, ისინი მაგრად იხუტავენ გულში ნანგრევებს წარსულის სურათებს და უცდიან ქართველს, რომელიც მათ ამოიკითხავს და საქართველოს ბედის უკუღმა ტრიალის მიზეზს გაითვალისწინებს.

უხიმერიონზევე ციხის გვერდით აგებულია ის ნაშთი. რომელიც, ქეშმარიტად, ითვლება საუკეთესოდ საქართველოს ხუროთ-მოძღვრებაში და დღეს-კი მტრის უგუნურობით და ზვენი უგულობით დანგრეულია და ნელ-ნელა მტვრად იქცევა. ის არის გამოშხატველი ქართული ხელოვნებისა—დიდი ტაძარი ბაგრატ დიდისა.

შეუძლებელია ადამიანმა ქუთაისში ჩასვლისთანავე არ გაიხედოს მთისკენ, რომლის თავზედაც მოსჩანან დიდებული ნანგრევები, და თავისდა უნებლიედ იქითკენ არ გაემართოს. ჯერ კიდევ მთის ფერდობის ნახევარზე არ ასულხართ, რომ თვალ-წარმტაცი სანახიობა, რომელიც თქვენ გარშემო იშლება, გზიბლავთ და ყოველსავე დარდს გიქარვებთ. მხოლოდ აქედან შეიძლება დაათვალოს ადამიანმა შვენება ქუთაისისა.

აღიხართ ზემოდ, და თქვენი ალტაცება ორკეცდება. ნანგრევები, რომელთაც თითქოს მწუხარების მეტი არა უნდა



აღეძრას რა, იწვევს თქვენ განცვიფრებას, აღტაცებას და პატივისცემას. რა სიდიადე, რა ხელოვნება! რამდენი შრომა და უნარი მოსჩანს ყოველ ქვაში, ყოველ მოხაზულობაში!

შეუძლებელია ადამიანმა უნებლიედ არ გაიხსენოს ის დრო და ის აღმშენებელი, რომელთაც ასეთი ნაშთი ჩვენ დაგვიტოვეს.

არეული იყო საქართველო ბაგრატ მესამის დროს. მამებისაგან დაწყებული გონიერ პოლიტიკას განაგრძობს უნარით სავსე შთამომავალი. ბაგრატს არ დაუზოგავს არაფერი, რომ წინაპართა ანდერძი ბოლომდის შეესრულებინა... და ტანჯული საქართველო შეკრება — გაერთიანებით ბედნიერ ეყო. სამწუხაროდ ამას არ ხედავდნენ ძლიერი მთავრები და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ საქართველოს აღორძინებისათვის. ბიზანტიაც თავის მხრივ თავისუფალ საქართველოს საფრთხედ სთვლიდა და ურჩ მთავრებს თავს ევლებოდა: ანიჭებდა მათ ისეთსავე ხარისხებს, როგორც ჰქონდათ თვით მეფეს, დახმარებას არ აკლებდა და საქართველოს აოხრებდა.

უარესი მდგომარეობა იყო ბაგრატ IV დროს. მთავართა შორის გამოჩნდა უძლიერესი — ლიპარიტ ორბელიანი. ბიზანტია შეეცადა, და მათ შორის ბრძოლა დაუსრულებელი გახდა. ოხრდებოდა საქართველო და მარცხდებოდა ხან მთავარი, ხან მეფე; უფრო ხშირად კი უკანასკნელი. ძლიერი ერისთავთ ერისთავის ლიპარიტის სახელით დაშინებული მეფე იძულებული იყო სამეფო მიეტოვებინა, აფხაზეთის ტახტზე თავისი შვილი გიორგი აეყვანა და სამი წლით ბიზანტიას შეფარებოდა. მხოლოდ ქართულ დიდებულთა დაუდგრომლობამ უშველა მას. დიდ აზნაურთ მოსწყინდათ ლიპარიტის ბატონობა და მის ჩამოგდებას ხელი შეუწვეს.

მართალია — არც ლიპარიტის შემდგომ სწვევია საქართველოს დიდი ხნით მშვიდობიანობა: ხან სპარსელები აოხრებ-

დნენ მას, ხან ბიზანტიელები; მაგრამ აღარ იყო მეფის ძლიერი მეტოქე და სამეფოს შეგროვება-გადიდებას ისე ძლიერად უკვე ხელს ვერაფერ უშლიდა.

აი, ასეთი არეულობის დროს ნელ-ნელა ვითარდებოდა ეროვნული თვით შემეცნება და სიამაყე. ერის მისწრაფებაში უნებლიედ ისახებოდა სურვილი დიადი ძეგლის შექმნისა.

ასეთ არეულ დროს დაიწყო ბაგრატ მესამემ ის დიადი ძეგლი ქართულ ხელოვნებისა, რომელსაც ყველანი აღტაცებით შესცქერიან.

ტაძარი აშენებულია გუმბათიანი ჯვარის რიგზე. დარჩენილი ნანგრევები აშკარად გვიჩვენებენ, რომ ის მეტად დიდი და მაღალი იყო. საკურთხეველიანად მისი სიგძე შიგნით უდრის 18 საეფნს (54 ნაბიჯს), უსაკურთხეველოდ-კი—15 საე. (45 ნაბიჯს), სამხრეთის კარიდან ჩრდილოეთის კარამდე ტაძრის განი უდრის 13 საეფნს (39 ნაბიჯს), სხვა ალაგას-კი—8 საე. (24 ნაბიჯს). კარი-ბქე ტაძარს ჰქონდა დასავლეთის მხრიდან.

კედლები გარედან თლილი ქვით არის ამოწყობილი და მრავლად დაფარულია საუცხოვო ფოთლოსან-ყვავილოვანი დაწნული ჩუქურთმით. სარკმელთა ჩარჩოები, კარების არშია, ყოველი კუთხე და წარბი შემკულია ღრვა, საუცხოო ხელოვნებით ამოკრილი ხლართულით. დარჩენილა აქა-იქ ქანდაკებანიც. კარი-ბქეს ზემოდ, ძალიან მაღლა, ისე, რომ ქვემოდან უბრალო თვალთ ძნელი გასარჩევია, გამოქანდაკებულია ორი შთავარ-ანგელოზი და ლომები.

წარწერა დარჩენილია ჩრდილოეთის კედელზე, უმთავრესად სარკმელის მარჯვნივ და მარცხნივ. აქვს წარწერა აგრეთვე აღმოსავლეთის სარკმელის არშიას.

ბაგრატის ტაძრის წარწერაში პირველად არის ნახმარი არაბული ციფრები. წარწერაში მოხსენებულია აღმაშენებელი ბაგრატ III და ეკლესიის იატაკის განმტკიცების დრო.



შენობა მეტად მაღალია, და ეტყობა ორ-სართულიანი იყო. გუმბათს ჰქონია წმინდა ქართული-წახნაგოვანი ყელი, 12 სარკმელით, რომლებიც შემკული იყო მდიდრული ჩუქურთმით და წახნაგოვანივე სახურავით. გუმბათს იმაგრებდა ოთხი უზარმაზარი სვეტი, რომელთა თავები ადამიანის თვალს ჰხიბლავენ თავისი შვენებით.

ეკლესია შიგნით შელესილი იყო, და აქა-იქ დღესაც ეტყობა ყოფილი მხატვრობის კვალი. მრავლად აღმოჩენილი ჩუქურთმიანი ქვები და მათი სახეები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ტაძარს შიგნითაც ბევრი ჩუქურთმა ჰქონია და ეკლესიის ცაც ლოტოსის ყვავილის მაგვარ სურათს წარმოადგენდა. ლოტოსის ყვავილის ჩუქურთმით დაფარულია უფლის ციხეში პატარა ეკლესიის ცა და სწორედ ისეთივე მოყვანილობა აქვს ბაგრატის ტაძარში ნაპოვნ ქვებსაც.

სამწუხაროდ ახლა ასეთი ჩუქურთმიანი ქვები ცოტაა, რადგანაც მათთვის მზრუნველობა გვიან გამოიჩინეს და შეუგნებელი ხალხი მათ არ ინდობდა. ჩუქურთმიანი ქვები მთის კალთებზე შეფარებულ სახლების კიბეების საფეხურებად გადაუქცევიათ. ერთი ასეთი ქვა, გარედან შემკული ჩუქურთმით, დატანებული აქვს ძველის დროიდან ყოველად-სამღვდელთა ეპისკოპოსის ბინის გალავანს. აქვე არის მოქცეული ერთი საფლავის ქვა წარწერით, და საზოგადოდ რომ დააკვირდეს ადამიანი, შეამჩნევს, რომ თუ ყველა არა, ქვების დიდი უმეტესობა მაინც სწორედ ტაძრის და ციხის ნანგრევებს ეკუთვნის. მაშ რა გასაკვირველია, რომ უბრალო გაუნათლებელმა პირებმა ისარგებლეს და ძვირფასი ქვები კიბის საფეხურებად გაიხადეს.

ტაძარი შიგნით გაყოფილი იყო ხუთ ნაწილად: საკურთხეველი, ორი საღარო, თვით ეკლესია და ოთახი კათაკმევლთათვის. საღაროს ზემოდ კამარების ნანგრევები აშკარად გვიჩვენებენ, რომ ეკლესიას მეორე სართულიც ჰქონია; საკურ-



თხვეული რგვალი მოყვანილობისა არის და რგვალ მოყვანილობისვე ამბიონით თავდება. იატაკი ეტყობა სხვა-და-სხვა სურათებით იყო შემკული, რასაც გვიმტკიცებს ამბიონის საფეხურის წინ დარჩენილი სურათი—წითელი, ფართე (დაახლოებით ნახევარი არშინი) აგურის ფერი წრე, რომლის არშინებსაც შეადგენს შავი, ერთი გოჯის სიგანის ხაზები. წითელ აგურფენილში მოქცეულია მოზრდილი შავი რგოლები, შუაში თეთრი დულაბით ამოვსებული. დიდი რგოლები ერთმანეთთან დაკავშირებულია ასეთივე პატარა რგოლებით. რადგან იატაკი მხოლოდ ამ ალაგას არის ბოლომდის გათხრილი, ამიტომ თქმა იმისა, თუ როგორი იყო ის საზოგადოდ,—ძნელია.

შიგნითა მორთულობიდან დღეს-დღეობით დარჩენილა მხოლოდ თეთრი მარმარილოს ჩუქურთმიანი ნამტვრევები და, მხოლოდ ორი სვეტის თავი.

როგორც ჩვენი ისტორიკოსი ვახუშტი მოწმობს, ეკლესია შემკული იყო სხვა-და-სხვა ფერი. მარმარილოთი და დარჩენილი ნამტვრევები კი, ეტყობა, კანკელს ეკუთვნის. დარჩენილ ჩუქურთმებში ყველაზე საინტერესო არის სვეტის თავები, რომლებზედაც გამოყვანილია ქანდაკებანი ბერძნული მითოლოგიიდან და ქართული ხელოვნების შშვენიერი შემოქმედება. აქ არის გრიფონისაგან¹⁾ წაქცეული კენტავრი²⁾, ადამიანის-თავიანი ფრინველები და სხვა-და-სხვა მხეცები; უდიდესი ნაწილი კი დაზარულია მტევნებიანი ვაზით, სხვა-და-სხვა ფოთლოსან—ყვავილოვანი და წნული ჩუქურთმით. ტაძარში სულ ექვსი დიდი და ორი პატარა სვეტი ყოფილა, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ უბრალო ხარისხები.

იმის შესახებ, თუ როდის არის დაწყებული ეკლესია, წარწერა არ არის დარჩენილი, მაგრამ არსებული წარწერა ჩრდი-

1) არწივის-თავიანი ფრთოსანი ლომი.

2) წელამდის ადამიანი და წელ-ქვევით ცხენი.

ლოეთის კედლისა გვეუბნება, რომ 1003 წელს იატაკი უკვე განმტკიცებული ყოფილა.

რა მნიშვნელობას ათვისებდნენ ამ ტაძარს თვით ამშენებლები—იქიდან სჩანს, რომ მის კურთხევაზე მეფემ მოიწვია არა მარტო საქართველოს დიდებულნი და სამღვდლოება, არამედ სხვა სამეფოთა წარმომადგენლებიც.

ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთით რამდენსამე ნაბიჯზე დაცულია უხიმერიონის ციხის დანგრეული კედლები. თუ ტაძარს ცუდად უვლიან, ციხეს, შეიძლება ვსთქვათ, არავინ ყურადღებას არ აქცევს და ციხის ეკლესია, წითელ მარმარილოს მშვენიერ ჩუქურთმიანი სარკმლებით, უწმინდურების გადასაყარ ალაგად არის ქცეული. ეს მით უფრო საკვირველია, რომ მთელ ქუთაისში არ მოიძებნება ამაზე უფრო ლამაზი და შესამჩნევი ალაგი. საითაც უნდა გაიხედოთ—საუცხოო სურათებს დაინახავთ; აღმოსავლეთით—კი მოსჩანს ოთხი გუმბათი საქართველოს ბრწყინვალე მეფის დავით აღმაშენებლის საყვარელ ნაშრომის—გელათისა.

მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შესძლო საქართველოს სავსებით გაერთიანება, მისი თავისუფლების უზრუნველყოფა და შექმნა ისეთი ტაძრისა, რომელიც დაუფასებელია საქართველოს ისტორიისათვის და გვასწავლის პატივისცემას იმ დროს მუშაკთა, რომლებმაც არეულობის ხანაშიაც კი შექმნეს უხიმერიონის მთაზე მდებარე ბაგრატ მე-III-ს დიდებული ტაძარის მაგარი ძეგლებისა.

იხებ ანთაძე.





ბრძოლა ადამიანისა პუნებასთან

ნ ა მ ს ა დ გ უ რ ა მ ბ ი



(წერილი მერვე)

როგორც ვნახეთ, ბევრი ჯაფა და ბრძოლა დასჭირდა ადამიანს ზღვით ჩქარი და უშიშარი მისვლა-მოსვლის მოწყობისათვის. მაგრამ ეს არ კმაროდა.

ზოგიერთი ქალაქი ისეთ მიუდგომელ ადგილზეა ზღვის პირად გაშენებული, რომ იქ ზღვა ხშირად მუხლამ-

დისაც ვერ სწვდება ადამიანს, მაშასადამე—ვერც გემი მივა ახლოს ასეთ ქალაქთან. ბევრი იფიქრა ადამიანმა—რით ღ როგორ ეშველა ამ საჭმისათვის, რით და როგორ აეცილებინა ასეთი დიდი დაბრკოლება, და დაადგა იმ აზრს, რომ საჭიროა ხელოვნური ნავსადგურების გამართვა ამ მიუდგომელ ქალაქებთან, რომ საჭიროა ზღვის კიდევების ამაღლება სქელი და მაღალი კედლებით, ხოლო თვით ზღვის ძირისა ამოწმენდა და ჩაღრმავება.

გაგონილი გეგმებით ქალაქ ანტვერპენის სახელი. ეს ქალაქი ბელგიაშია, ჩრდილო ზღვის პირად; ახლანდელ ომში გერმანელებმა იგი საშინელი ზარბაზნების წყალობით მხოლოდ



14 დღის ბრძოლის შემდეგ წაართვეს ბელგიელებს ანტვერპენი ძვეს ზღვის პირად, სწორედ იქ, სადაც მდინარე შელდა ერთვის ჩრდილო ზღვას და მშვენიერ ბუნებრივ ნავსადგურს წარმოადგენს. დროს მიმავლობაში ქალაქი ანტვერპენი იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ ეს ბუნებრივი ნავსადგური ვიწრო შეიქნა თითქმის მთელი ქვეყნიდან მონადენ ხომალდებისათვის; ამიტომ ანტვერპენელებმა გადასწყვიტეს გაადილონ იგი. ამ აზრით ჯერ ძველადვე ააგეს აქ კიდეების პირად სქელი კედელი, სიგრძით სამ ვერს ნახევარი, მაგრამ არ გასულა 70 წელიწადი, რომ ესეც არა-საკმარისი აღმოჩნდა, და ანტვერპენელებმაც გააკეთეს ახალი კედელი, სიგრძით 6 ვერსი, და სიგანე-სიმაღლით 3—6 საყენი, რაიცა დაუჯდათ სულ ორმოც მილიონამდე მანეთი.

ანტვერპენის ხელოვნური ნავსადგური

უფრო მეტი სიმტკიცე და შეუღრეკელობა გამოიჩინეს ამერიკელებმა თავისი დედა-ქალაქის, ნიუ-იორკის, მომავლის განმტკიცებისათვის. უნდა გითხრათ, რომ ქ. ნიუ-იორკი პირველმა ახალმოშენებმა გააშენეს ისეთ ადგილას, რომ ქალაქს სრულიად არ უვარგოდა გემით მისასვლელი ადგილი: ერთი, რომ ზღვიდან მისასვლელი გზა მეტად ვიწრო იყო, და მეორე—ეს ადგილი დიდი და პატარა ამოშვერილი კლდეებით იყო სავსე, რისგამოც გემებს დიდი სიფრთხილით და ნელა უნდა ევლოთ აქ, რომ კლდეებს არ წასწყდომოდნენ და არ დამსხვრეულიყვნენ. ზღვის ასეთ ვიწრო გასასვლელს საზოგადოდ სრუტე ეწოდება, ხოლო, რადგანაც ნიუ-იორკის მოხსენებული სრუტე მასთან ერთად მეტად საშიშიც იყო მენავეთათვის, მას **ჯოჯოხეთის სრუტეს** ეძახდნენ.

ნიუ-იორკელებმა განიზრახეს ამ ჯოჯოხეთის სრუტისა სამოთხის სრუტედ გადაქცევა და შეუღდნენ თოფის წამლითა



და დინამიტებით სრუტეში ამოჩხირული კლდეების აფეთქებით ბევრ კლდეს მოუღდეს ამგვარად ბოლო, მაგრამ დარჩა ერთი შვიდ დღიურამდის ადგილი სრუტეში, სადაც სულ ერთიანი, გაბმული კლდე იყო, და კაცს ეგონებოდა, რომ აქ კი ადამიანი ვერას ვახდება და ხელი უნდა აიღოს ბუნებასთან ბრძოლაზე. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ამერიკელები: ამათ გადსწყვიტეს ამ კლდის კუნძულის მოსპობა, რათაც უნდა დასჯდომოდათ, და შეუდგნენ საქმეს. მათმა ინჟინერებმა ჩადგეს ამ კლდეებში უძლიერესი მანქანები, გასკრეს კლდეების მთელ სიგრძე-სიგანეზე, მის შუაგულში, 60-ზე მეტი გვირაბი, ხოლო გვირაბებში—დინამიტის ჩასაწყობი ხვრელები, შეაერთეს ყველა ეს ერთიანი მავთულით, რომელიც ამოიყვანეს ქალაქის კიდით ელექტრონის სადგურში და როცა, ცხრა წლის ბეჯითი და შეუწყენებელი მუშაობის შემდეგ, ყველაფერი მზად იყო, გამართეს დღესასწაული, მოიყვანეს პატარა ქალი და უთხრეს: „ამ მავთულის ფოლაქი მარჯვნივ გადააბრუნე!“ ქალმა გადააბრუნა, თუ არა, მავთული შეუერთდა ელექტრონს, ელექტრონმა თვალის დახამბამებაში მიადწია დინამიტს, რომელთანაც შეერთებული იყო, და ააფეთქა. მოხდა სასწაული: ის იმოღენა, შვიდ დღიურზე ამართული კლდეები წყალთან ერთად დიდ და პატარა ნამტვრევებად ამოვარდა ზღვის ძირიდან და ამ სახით ნიუ-იორკის ჯოჯობეთის სრუტე უეცრად მშვენიერ სრუტედ გადაიქცა. ამის შემდეგ დიდი და პატარა ნაევები თუ გემები სრულიად უშიშრად და დაუბრკოლებლად აღწევენ თვით ნიუ-იორკის კიდეებს.

აფეთქება კლდეებისა ისეთი ძლიერი იყო, რომ ზღვის წყალი ქვაბში მდულარე წყალსავეით აღუღდა და 20—30 საეწენზე ამოვარდა ზევით.

ბევრი შესანიშნავი ნავსადგური მოაწყო და ააგო ადამიანმა დედამიწის სხვა-და-სხვა ადგილას. ყველაზე აქ ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ; მაგრამ შეუძლებელია ორიოდ სიტყვა არა ვსთქვათ საფრანგეთის შერბურგის ნავსადგურის შესახებ.



შერბურგის ნავსადგური ძვეს საფრანგეთის დასავლეთის კიდით და იმით არის შესანიშნავი, რომ წინადაკ არაფითარი ნავსადგური არ იყო, და მხოლოდ ზღვის აქაფებული ტალღები დაუცხრომლად სცემდნენ მის ნაპირებს. მაგრამ საფრანგეთისათვის ძლიერ საჭირო იყო გაემართათ აქ სამხედრო, საომარი გემების ნავსადგური, რადგანაც ეს ადგილი ახლოსაა ინგლისთან. ამიტომ შეუდგნენ საქმეს: გააკეთეს მტკიცე კედელი, და ეგონათ, რომ ახლა ტალღები ვერ დაანგრევდნენ მას; მაგრამ მოსტყუდნენ: ერთ ღამეს ისეთი საშინელი ქარტყილი ამოვარდა, რომ გააფთრებულმა ტალღებმა კედელი ხუხულასავით მიფუშ-მოფუშეს და თან 300 მუშაც დაღუპეს, რომელთაც იმ ღამეს იმ ჯებირზე თუ მის ახლო-მახლო ეძინათ...

უბედურებამ ფრანგები მაინც არ შეაყენა: გაორკეცებული მხნეობით ამათ ხელმეორედ ააგეს ახალი, უფრო სქელი, სიჯანით ოთხ-საქენიანი კედელი და მასთან ისეთი მაგარი და მტკიცე, რომ მას აქეთ კედელს ველარ ერევა ვერაფითარი ქარტყილები და ტალღები!..

შერბურგის ნავსადგური ამ უამად იმდენად ფართოა, რომ იქ კარგად მოთავსდება ორმოცამდის სამხედრო გემი.

ივ. როსტომაშვილი





ანდაზა

ლორის თავი ხალიჩაზე დასდევ,
 იგორებს, იგორებს და ლაფში ჩაფარდებო.

გამოცანები

1

უნახნაოდ და უთესლოდ,
 უმიწოდ არის მოსული.

2

ციდან ბეწვითა ვეკიდევ, ვარსკვლავებს ვევედრებოდი;
 თასი მიბოძეთ—დავყაროთ ზედ იაგუნდი, ლალები.

3

წისქვილის კარზე ჩხუბობდნენ ჭავი-ჭუვი და ჭიკარტი;
 ყვავი საშველად გარბოდა, წინ გაეშვირა ნისკარტი.

შარადები

(წარმოდგენილი კ. ნიორაძის მიერ).

I

თვის სახელი გაპყავ შარცვლად;
 გასწით იქით და აქეთა:
 შუაში უბოლო ასოთი
 ფრინველთა ციხე დართეთა;
 და მიიღებთ ძვირფას საგანს,—
 პატრონს აცხოვრებს ფართეთა.

II

ერთი უბმო ასო გვინდა,—
 ბაქი-ბუქში ურევია.



ქართული
ენების ინსტიტუტი

და შემდეგ მთისა მდინარე,
სადღაც მტკვარს რომ შერევია;
მის სახელსა შუა წელში
უხმო ასო ჩარევია.
ის არ გვინდა,—მის მოაკლდება
ვინც შარადებს მორევია.
თუ უნდა ხილი მიიღოს,
გემოთ მთავ-ტყბილ ნარევი.



რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილია ღაჯ. ელითზაშვილის მიერ)



თ



სიგხეში გა-
სკრიდებუ-
დადსახეზე
დასაბერავი

ქალის
სახელი ”

ანბანის
1 ტ მე-3
ასო

თომბ,
წიკით-
ხეთ უკუ-
ღმა

ზო, — თან-
ხმობა.
უარყოფა

თ.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემი ბ. პ. ი. თუმანიშვილი.



1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალს **„ნაკადული“** საქართველოს
განმანათლებლო

„ნაკადული“ — ზე

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი **ნაკადული** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. **12** მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვირდზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: **დასურათებული „ხალხური ზღაპრები“**, —სამეკრეფოში შეკრებილი იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.**, ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3 მ.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3 მან.**, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7 მ.**, ნახევარი წლით **4 მ.**

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში** — ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავარიშვილთან. **სამტრედიისში** — ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათუმში** — ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ჭ ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ჭ **ლანჩხუთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ნიხო გელაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში** — ივ. გომელაურთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში** — ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. კავკანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი **ბ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**